პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 109 (19850) | სამშაბათი, 12 მაისი, 1987 წელი | ფასი 3 კაპ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲮᲔᲚᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველოში ჰიდრავლიკური სამაგრის დანერგვით 200 კუბურ მეტრ მასალას ზოგავენ. ამ და სხვა სიახლეთა დანერგვამ განაპირობა, რომ ამ მაღაროს მიწისქვეშა უბნებიდან მცირეგაბარიტიანი მტვირთავი. მანქანებით ამოიღეს 34 893 ტონა ნედლეული, რაც გეგმით გათვალისწინებულს 5 ათასით აღემატება.

სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მიწისქვეშა უბნებზე დაიდგა სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სანგრებში სუფთა ჰაერის მიყვანას ემსახურება. ამ მაღაროს მამდიდრებელ ფაბრიკაში დამონტაჟდა ყბებიანი სამსხვრეველა. მწყობრში ჩადგა აგრეთვე მკვებავი დანადგარის მაგნიტი და კლასიფიკატორი შუალედი პროდუქტების მეორედ გამდიდრებისათვის, რამაც გააუმჯობესა მზა პროდუქციის ხარისხი.

ყველაფერმა ამან მტკიცეა საფუძველი შეუქმნა მაღაროელებს გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. შრომის სანმუშო მაგალითს იძლევიან კალინინის სახელობის მაღაროთსამმართველ ო ს გვირაბგამყვანები მ. გაფრინდაშვილი, რ. მაჭარაშვილი, ს. გაფრინდაშვილი, ა. ცოცვიძე, ზ. კაველაშვილი, ჭ. მაჭარაშვილი და სხვები. მათი გადაწყვეტილებაა ნახევარი წლის დავალებები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის შეასრულონ.

სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს საერთო წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს კომუნისტმა გვირაბგამყვანებმა ე. ტაბატაძემ, მ. ტეფნაძემ, გ. ლომთათიძემ, ჯ. ყვავაძემ, მებიგე მ. გოგოლაძემ, გზის ოსტატმა ო. წიფნაძემ, ელმავლის მემანქანემ ა. დევიძემ, ექსკავატორის მემანქანემ ი. მოდებაძემ და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებენ.

ამ საწარმოებში მომჭირნეობით იყენებენ სამაგრ მასალებს, ზოგავენ საწვავ-სპეციალურ მასალებს, ნერგავენ ახალ ტექნიკას და ტექნოლოგიას. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მართავენ საწარმოო პროცესებს, სრულყოფენ შრომის ორგანიზაციას, განამტკიცებენ დისციპლინას, გაბედულად გადადიან შრომის ანაზღაურების ახალ ფორმებზე.

ჭ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მიწათმოქმედებმა, რომლებმაც 10 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე დაასრულეს მზესუმზირის თესვა, მიზნად დაისახეს ყოველ ჰექტარზე გაანგარიშებით უზრუნველყონ წელს ერთ ტონამდე მცენარეული ზეთის მიღება. დიდ ფართობებზე სამუშაოები განხორციელდა პროგრესული ინდუსტრიული ტექნოლოგიით.

კამპანია წარმატებით წარმართეს წოთელწყაროს რაიონის მეურნეობებმა, სადაც კულტურას ყველაზე მეტი ფართობი — 6200 ჰექტარი უკავია. სიღნაღისა და საგარეჯოს რაიონებში მზესუმზირას ნათესების ფართობები შესაბამისად 2700 და 1150 ჰექტარია.

თესვის შემდეგ მოსავლის აღებამდე მანქანები ალარ გავლენ მინდვრად. ეს კეთდება იმისათვის, რომ ნიადაგში რაც შეიძლება მეტი ტენი დაგროვდეს, ეს აგროსეზონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შირაქის ველისათვის, სადაც მზესუმზირას ვრცელი მინდვრები, რესპუბლიკის სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად ზარალდება გვალვით.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲐᲓᲠᲔᲝ ᲙᲝᲛᲑᲝᲡᲢᲝ — ᲛᲝᲛᲖᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ. ჩინეთელად შრომობენ სანერგე საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეები. მაგრამ პირველობას არავის უთმობენ იჯარული მეთოდით მომუშავე ბრიგადის (ხელმძღვანელი — ა. ფანცულაია) წევრები. ისინი ორი წელია იჯარული წესით საქმიანობენ. ბრიგადის წევრებმა შარშან შემოდგომაზე 10 ჰექტარზე გადარგეს კომბოსტოს ჩითილი. საუკეთესოდ მოგლილ ნაკვეთში მოსავალმაც არ დააყოვნა. მათ პირველებმა დაამზადეს ტონობით საუკეთესო ხარისხის კომბოსტო.

საყურადღებოა ისიც, რომ კომბოსტოს საადრეო მოსავალი ჯერ კიდევ 14 აპრილს ჩაბარეს კოოპერატრის ობიექტებს. იჯარული ბრიგადის მებოსტნეები მონდომებით შრომობენ, რათა სარეკორდო მოსავალი მოიწიონ და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის გადამეტებით შეასრულონ წლის დავალება.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲫᲛᲝᲑᲘᲡ 70 ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲛᲐᲡᲘᲜᲘ მტკიცე ძაფისაგან არის ნაქსოვი საბჭოთა ადამიანების სხვადასხვა ერისა და ეროვნების ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელ პარალელზეც უნდა ცხოვრობდნენ ისინი.

ერთმა უცხოელმა ფურნალისტმა, რომელიც ბაშკირეთის ახს რესპუბლიკას ეწვია, დაწერა: „განა შეიძლება გვაწუხებდეს ეროვნული საკითხის ხედი საბჭოთა კავშირში, სადაც წინათ ჩამორჩენილ ერთა მახეები ახე სწრაფად ეზიარნენ თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევებს? ავიღოთ ბაშკირი ხალხი, რომელსაც თავისი დამწერლობაც კი არ ჰქონია, როცა ჩვენ პირველ ავტომობილებს ვაშენებდით.მან ხაოცარი ისტორიული ნახტომი მოახდინა ცხოვრების პატრიარქალური წყობილებიდან მწვერვალებისაკენ, სადაც თვალში ხვდება მთელ მსოფლიოს“.

სწორი, ობიექტური აღიარებაა! მხოლოდ სოციალიზმის მოძულეებს შეუძლიათ იმსჯელონ იმის შესახებ, თითქოს სსრ კავშირში ძლიერდებოდეს ეროვნული და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის „დაძაბულობა“. ვერავინ ვერ გადაუხვამს ხაზს იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ დიდი ოქტომბრის შემდგომ წლებში, როგორც საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაშია აღნიშნული, ჩვენს ქვეყანაში საქმით დამკვიდრდა ხალხთა ფაქტობრივი თანასწორობა, მათი ძმური თანამშრომლობა. განვითარდა ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა. ჩამოყალიბდა ერთიანი საბჭოთა ხალხი, რომელიც ამაყობს თავისი საერთო მიღწევებით და ერად არის დაცვას სოციალისტური მონაპოვრები ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ამავე დროს პარტია გვავალებს ვხედავდეთ ეროვნული ურთიერთობის რეალურ სურათსა და განვითარების პერსპექტივას. მისი სრულყოფა, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი საქმე, ახალ პრობლემებს სვამს. ამას გვაუწყებენ გაზეთის მკითხველებიც. მაგრამ ზოგან ხანდახან თავს იჩენს კუთხურობის გამოვლინებანი, ეროვნული კარდახშულობის, შეზღუდულობის, ყოყოჩობის ტენდენციები. ყოველივე ეს გვაიძულებს დღენიადგ ვეძებდეთ და დროულად ვაძლევდეთ სწორ პასუხს კითხვებზე, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. ყოველგვარ ნაციონალისტურ მოარული სენს კი უნდა დავუპირისპიროთ მხოლოდ თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

როცა მ. გორკი ვ. ი. ლენინზე ლაპარაკობდა, აღნიშნავდა, რომ მას ჰქონდა „რუსეთის, რუსების, რუსული ხელოვნების გამო სიამაყის თვისება“. ამავე დროს, ვლადიმერ ილიას ძის ხასიათში, აზრებსა და მოქმედებაში შეხამებული იყო ნამდვილი ინტერნაციონალისტის დიდებული თვისებები. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი მრავალეროვანი კავშირის დაბადება. იგი დაუცხრომელად ამეორებდა: იყო ინტერნაციონალისტი — ნიშნავს ფიქრობდე არა მარტო საკუთარ ერზე, არამედ მასზე მაღლა აყენებდე ყველას ინტერესებს...

საბჭოთა ძმობის სიღრმისეული სათავეები არის ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებაში, ჰუმანისტურ იდეოლოგიაში. მაგრამ საკმაოდ ცხადია, რომ ინტერნაციონალიზმის იდეები თავისთავად არ გადაიქცევა ადამიანის მრწამსად და ქცევის ზნეობრივ ნორმებად. ამას ხელს მივაღწიოთ აღზრდით, თვითაღზრდით. ყველა პარტიული ორგანიზაციის, მათი კომიტეტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა სწორედ ის არის, რომ ოქტომბრის სამშობლოს საყვარულის მხურვალე გრძნობა, ამის სურვილი, რომ კიდევ უფრო მძლავრი და ლამაზი გახადოს იგი, საბჭოთა ადამიანის ხასიათის განუყოფელი თვისება, ცხოვრებისეული პოზიციად იყოს.

სრული დინამიზმითა და პოზიტიური გარდაქმნებით აღსავსე ჩვენი ხანა უმდიდრეს მასალას იძლევა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებისათვის. იგი მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო ენერგიულად დამკვიდრდება ახალი საზოგადოების იდეალები, პრინციპები და ღირებულებანი. ცხოვრების სიწმინდისათვის ბრძოლა ყველაზე ქმედითი საშუალებაა, რათა გავზარდოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა, მისი სოციალური უკუგება, თავი დავიზღვიოთ ავადმყოფური მოვლენებისაგან.

გარდაქმნის პირობებში კოლექტივების მუშაობა მოწმობს, რომ დემოკრატიის განვითარების, სოციალური სამართლიანობის ნორმების აღდგენის, კადრების პასუხისმგებლობის ზრდისათვის გამოზნული პარტიის გეზი ხელს უწყობს ადამიანთა შეკავშირებას, აუმჯობესებს მათ გუნება-განწყობილებას, განამტკიცებს ურთიერთნდობას. პარტიულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, პროფკავშირებმა ყურადღებით უნდა გაიაზრონ შექმნილი ახალი მორალურ-ზნეობრივი ატმოსფერო, გამოიჩინონ განსაკუთრებული ნინდახედულება ყველაფერში, რაც ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება.

და, რა თქმა უნდა, ძალზე საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ გამოცდილების ყოველი მარცვალი. უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში, მაგალითად, უფრო ღრმად სწავლობენ ახალგაზრდობის გარემოში მიმდინარე პროცესებს, დაინერგა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა შეხვედრები სტუდენტებთან და ახალგაზრდა მუშებთან. ყველა სამინისტროსა და უწყებაში შექმნილია კომუნისტური აღზრდის ხელშემწყობი საბჭოები. ლატვიის პარტიულ ორგანიზაციებში უნარიანად იყენებენ ლატვიელ წითელმსროლელთა, ყველა იმათ გმირულ საქმეთა მაგალითებს, ვინც თავი შესწირა რევოლუციას.

ნამდვილი ინტერნაციონალისტი თავს აკლევს უწინარესად შემოქმედებითს, თავდადებულ შრომაში სამშობლოს აყვავებისათვის. საბჭოეთის ისტორიაში ბევრია მაგალითი, როცა მის მუშებს, მეცნიერებს, ინჟინრებს, კონსტრუქტორებს მიუღწევიათ შედეგებისათვის, რომლებიც მსოფლიო მიღწევებს უსწრებდა. სამშობლოს წინაშე მოვალეობა პატრიოტებს უბოძებს დიდი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობისათვის, სტიქიური უბედურებებით დაზარალებულთა დახმარებისათვის. ამან თავისი უმაღლესი გამოხატულება პოვა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის დროს.

ინტერნაციონალური ტრადიციების საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია მრავალეროვანი შრომითი კოლექტივების გამოცდილებას. ეს გამოცდილება შეიძინეს იმათ, ვინც აშენებდა ბამს, ბრატსკისა და კრასნოიარსკის მიდროელექტროსადგურებს რუსეთის სფს რესპუბლიკაში და ნურეკისას — ტაჯიკეთში, გაჰყავდა მაგისტრალური გაზსადენები დასავლეთ ციმბირიდან ქვეყნის ევროპულ ნაწილში. ძმური ურთიერთდახმარების სკოლას გადიან ბევრი ეროვნების წარმომადგენლები რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის განახლებაში, სამხრეთ იაკუტიის ქვანახშირის კომბლექსის ათვისებაში. ყველა რესპუბლიკაში, ოლქსა და რაიონში არის ასეთი კოლექტივები, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ ერთსულოვნად და კარგად მუშაობენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი. და ეს ტრადიციები ყოველნაირად უნდა განვავითაროთ.

ძმობის ზიარებაში დიდია მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების, ლიტერატურის, ხელოვნების როლი. ინტერნაციონალიზმი ხომ მარტო გონების მიღწევა კი არა, უწინარეს ყოვლისა, ზნეობრივი გრძნობაა. სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებით შეუუწყარებელია წინასწარ აკვიატებული მსჯელობა, ზერეობა და აჩქარება. ეს ეხება ენისადმი, სიძველის ძეგლებისადმი დამოკიდებულებასაც, ისტორიული მოვლენების განმარტებასაც.

წარსულის არაკრიტიკული გაანზრება, უნდა ითქვას, ლიტერატურასა და ხელოვნებაში შეზღუდულობის გამოვლენის ყველაზე გავიცლებული ფორმაა, რომელიც ნერგავს ყალბ წარმოდგენას თავისი ხალხის ეროვნული სიამაყის შესახებ და აკნინებს სხვების როლს. კულტურული პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობა პარტკომებისაგან მოითხოვს დაკვირვებულ მუშაობას, სამართლიან შეფასებებსა და კეთილმოსურნეობას, თუ საქმე ეხება ნამდვილ შემოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ — შეურიგებლობას ყოველი ნაციონალისტური აქცისადმი, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს იგი.

უმაწვილობიდანვე ადამიანს უნდა ვუყალიბებდეთ ორგანულ წილნაყარობას მშობლიურ მიწაზე მცხოვრები ახზე მეტი ერისა და ეროვნების მეგობრულ კავშირთან. ოჯახში, სბავშვო ბაღში, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, ქვეყნის ყოველ კუთხეში ცხოვრების თითოეული წუთი უნდა ნერგავდეს ინტერნაციონალურ სინდისს, დროის სულისკვეთებით უნდა გარდაქმნათ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების მუშაობა, უფრო ხშირად გამოვიყენოთ ისეთი ფორმები, როგორიც არის ეჭსკურსიები მოკავშირე რესპუბლიკებში, ჟგიტმატარებლები, ექსპედიციები რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში.

დრო სვამს საკითხს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებანი უფრო ფართოდ და ღრმად ემსახურებოდნენ პრაქტიკის საჭიროებებს. ისინი ჯერჯერობით ჩამორჩებიან ეროვნული ურთიერთობის პრობლემათა დამუშავებაში. დიდ ვალში არიან მეცნიერები პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორების წინაშე. განსაკუთრებით, გვაკლია დასაბუთებული გამოკვლევები ბურუაზიულ იდეოლოგიათა სხვადასხვა კონცეფციის, მათს წინასწარმეტყველებათა და ცილისმწამებლურ მონაპოვრთა კრიტიკის შესახებ.

ქვეყნის პროგრესი ვითარდება და კვლავაც განვითარდება თითოეული ერისა და ეროვნების საკეთილდღეოდ. მათი შემდგომი დაახლოების ინტერესებისათვის, მთელი ჩვენი ურღვევი კავშირის ინტერესებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ამოღებული ამ სტატეგიით დღეს, ოქტომბრის 70 წლისთავის წინ, უნდა შეიარაღდეს ყველა კომუნისტი თავის იდეურ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითს მუშაობაში.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ც. ᲟᲘᲕᲙᲝᲕᲡ

11 ᲛᲐᲘᲡᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს, რომელიც ჩინეთიდან სამშობლოში გზად მიმავალი მოსკოვს ჩამოხდა.

მ. ს. გორბაჩოვმა და ტ. ჟივკოვმა განიხილეს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცების ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მათ დაადასტურეს, რომ ორივე პარტიასა და ქვეყანას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც აქტიურად იმოქმედონ სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, მთელ პროგრესულ და მშვიდობისმოყვარე ძალებთან, რათა აღმოფხვრან ბირთვული საფრთხე, განსაკუთრებით ევროპაში, უზრუნველყონ განიარაღება, შექმნან საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა.

ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივების განხილვის დროს აღინიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და ბულგარეთის საწარმოებსა და გაერთიანებებს შორის პირდაპირი კავშირის შესახებ შეთანხმებათა თანამიმდევრულ რეალიზაციას, ყოველივე იმის აღმოფხვრას, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს მათ ეფექტიან მუშაობას. შეეხნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალი ინტეგრაციული ფორმების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გაამართა ამხანაგური აზრთა გაზიარება ამოცანების შესახებ, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის კომუნისტური პარტია წყვეტენ, როცა ხორცს ასხამენ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნისათვის გამიზნულ თავიანთი ყრილობების მითითებებს.

მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს თვისებრივი განახლების პროცესში სულ უფრო აქტიურად ებმება მთავარი მოქმედი ძალა — ხალხის მასები. ახლა საკვანძო მნიშვნელობა აქვს მთლიანი სამეურნეო მექანიზმის ფორმირების დამთავრებას, რომლის მიზანია მშრომელთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის მაქსიმალური განვითარება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი განიხილავს ამ საკითხებთან დაკავშირებულ კომპლექსს.

ტ. ჟივკოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სრულდება ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობის კურსი, აღინიშნა, რომ ერთმანეთს ემთხვევა სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ძირეული ცვლილებების მიზნები და პრინციპები. კერძოდ, მან თქვა, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ბულგარეთში ახლახან მიღებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოციალისტური საკუთრების გადაცემა შრომითი კოლექტივების სარგებლობაში.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, ხაზგასმით აღნიშნა ტ. ჟივკოვმა, მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულ სკკპ XXVII ყრილობის კურსს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის იდეებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის ბედისათვის.

საუბარმა გულითადად და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს ტ. ჟივკოვი მოსკოვიდან სამშობლოში გაეშგზავრა.

(საკდესი)

შეხვედრისას. | საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲙᲣᲠᲡᲘ — ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲡᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ იმყოფებოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი. იგი ეცნობოდა რესპუბლიკის მეცნიერულ ცხოვრებას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა საქმიანობას, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში მიმდინარე აქტუალურ გამოკვლევებს, მეცნიერთა შემოქმედებითი ძიების დონის ამაღლების პრობლემებს.

ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარების პრობლემებზე, სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მეცნიერული გამოკვლევებისა და მიმართულებების გარდაქმნის გზებზე დიდი, პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე. მთავარი, რასაც სხდომის ძირითადი ყურადღება მიეპყრო, ის არის, რომ უზრუნველყონ უმაღლესი მსოფლიო ორიენტირების მიღწევა, მთელი მუშაობა წარმართონ ინტენსიურად, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის გახვითარების კონკრეტულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით, მაქსიმალური პრაქტიკული უკუგებით.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. თავხელიძემ.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე გ. გ. ჩოგოვაძე.

პარტიის მიერ დასახული დაჩქარების პროგრამა დაბეჯითებით მოითხოვს პრიორიტეტული მიმართულებებით მეცადინეობის კონცენტრაციას, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებას. სწორედ ადამიანია გარდაქმნის შემოქმედებითი პოტენციალი, სწორედ იგი განსაზღვრავს ცვლილებათა მიმდინარეობას. რესპუბლიკის მეცნიერებისა და მისი შტაბის მუშაობის პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს: იქ, სადაც ითვალისწინებენ ამ პრინციპის მნიშვნელობას, საქმე კარგად მიდის.

აღინიშნა პერსპექტივის მკაფიო ხედვის უარესად დიდი მნიშვნელობა. რესპუბლიკაში განსაზღვრულია ფუნდამენტური მეცნიერების პრიორიტეტული მიმართულებანი 2000 წლამდე პერიოდის ჩათვლით. ამ კომპლექსურ პროგრამას მტკიცედ უდევს საფუძვლად უკვე მიღწეული. მაგალითად, საქართველოში მნიშვნელოვანი სამუშაოები წარმოებს თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის დარგში. სწრაფი ტემპით ვითარდება ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია, ბევრი სხვა მიმართულება. სეისმომედეგობის, გენური ინჟინერიის, ელექტრონიკის, კიბერნეტიკის დარგში ფუნდამენტურ გამოკვლევათა შედეგები გამოყენებითი სამუშაოების ფართოდ გაშლის საიმედო ბაზა გახდა.

ამავე დროს გარდაქმნის პროცესი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში საკმაოდ დინამიკურად და მიზანსწრაფულად არ მიმდინარეობს. ბევრი ნაკლია ლაბორატორიების, კვლევითი ცენტრების, საკონსტრუქტორო ქვანაყოფების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვაში. მაგალითად, დღეს აკადემიის ერთი მეცნიერი მუშაკის ფონდაღჭურვილობა 1,4-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ქვეყნის სხვა რესპუბლიკების აკადემიებში. ეს არსებითად აფერხებს მეცნიერთა მუშაობას.

გაფართოებულ სხდომაზე აზრთა გულახდილი გაზიარების დროს აღინიშნა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ოპტიმალური გამოსავალია საქართველოს აკადემიური ინსტიტუტების აქტიური პარტნორობა ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებთან. ეს საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ არა მარტო თანამედროვე ხელსაწყოებითა და მოწყობილობით, უწინარეს ყოვლისა, დიდეფექტიანი კომპიუტერული ტექნიკით მომარაგების პრობლემა, არამედ უფრო მჭიდროდ ვეზიაროთ პრიორიტეტული გამოკვლევების შესრულებას. ასეთი პრაქტიკა, რომელიც რეალურ უკუგებას იძლევა, ყოველდღიური ხდება მოკავშირე რესპუბლიკების მთელ რიგ მეცნიერებათა აკადემიების საქმიანობაში.

მეცნიერების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებთ მეცნიერთა შემოქმედებითი ძიების გააქტიურების, ცოცხალი ძალების მოზიდვის მიზნით მიღებულია დადგენილება მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობათა დაკავების ზღვრული ასაკის შესახებ. იგი ეხება როგორც აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს, ისე ინსტიტუტების დირექტორებსა და დირექტორების მოადგილეებს, სამეცნიერო განყოფილებების გამგეებს. თაობათა ცვლის პროცესი უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშიც. რესპუბლიკის მეცნიერების მთავარი შტაბი წაყოფდა კადრების განახლების სერიოზულ პრობლემას. მისი გადაჭრის გზაა ხელმძღვანელ თანამდებობებზე პერსპექტიული ახალგაზრდობის გაბედული დაწინაურება. სხდომის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თაობათა ცვლის პროცესი არ უნდა მიმდინარეობდეს ფორმალურად, სიმწიფის გამოცდილება უნარიანად უნდა შევუხამოთ ახალგაზრდობის შემართებას. აღინიშნა, რომ უნდა შეიქმნას დროებითი ახალგაზრდული კოლექტივები პერსპექტიული თემების დამუშავებისათვის. მათი მხარდაჭერისათვის, კერძოდ, გათვალისწინებულია გამოიყოს მეცნიერებაში დაბანდებული მთელი დეს პოლიგრაფიული ბაზა იმ უნიკალური ხელნაწერების გამოცემისათვის, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა ბევრი მკვლევარისათვის. მკვეთრად უნდა ამოღლდეს გამოკვლევების დონე, ფართოდ ჩაბაბან მათში ნიჭიერი ახალგაზრდობა, შეუქმნან მათ შემოქმედებითი ძიების პირობები, დაამყარონ აგრეთვე უფრო მჭიდრო საქმიანი პარტნიორობა საზღვარგარეთელ კოლეგებთან, გაფართოონ ინფორმაციებისა და დელეგაციების გაცვლა, ერთად აწარმოონ გამოკვლევები.

გ. ი. მარჩუკმა აღნიშნა, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტს ყოველმხრივ დაეხმარება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. იგი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერებისათვის საინტერესო ბევრი პრობლემის გადაჭრას.

* * *

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. ი. მარჩუკი ეწვია აგრეთვე კიბერნეტიკის, მათემატიკისა და გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტებს, იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ საექსპერიმენტო ბაზაში.

(საკინფორმი)

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ

10 ᲛᲐᲘᲡᲘ მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ტაილანდის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ავიაციის მთავარი მარშალი ს. საკეტსილა.

აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური პრეზიდენტი რიჰარდ ფონ ვაიცზეკერი ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა საბჭოთა კავშირს 1987 წლის 6-დან 11 ივლისამდე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ბ. Ვ. ᲕᲘᲜᲪᲣᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მიენიჭოს მწერალ ვასილის ძე **ᲕᲘᲜᲪᲣᲒᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ** წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს medaლი „ნამგალი და ურო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო

უპასუხისმგებლობას დანაშაული მოსდევს

როგორც გაზეთის მკითხველებმა იციან, ამ რამდენიმე ხნის წინათ ანტისანიტარიულ პირობებში დამზადებული ტკბილღვეზელეთა და სალექი რეზინით მრავალი ადამიანი, მათ შორის ბავშვები მოიწამლნენ ქალაქ თბილისსა და ხელვაჩაურის რაიონში. მაშინ ამის გამო პასუხისმგებელი მუშაკები, ხაზოგადოებრივი კვების პროდუქტების დამამზადებელი და გამსაღებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელები თუ რიგითი თანამშრომლები მკცრად დაისაჯნენ, ზოგს კი თანამდებობაც დაატოვებინეს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა რამდენჯერმე იმსჯელა იმათ შესახებ, ვინც დედაქალაქსა და სალიბაურში მოხდარი უბედურებიდან სათანადო დასკვნა არ გამოიტანა, სურსათსანოვაგის დამზადებისა და ვაჭრობაში სათანადო წესრიგი არ დაამყარა და ძველებურად განაგრძო საქმიანობა, კომიტეტმა მაშინ საკადრისად მიუზღო გარდაბნის რაიონისა და ტყიბულის ზონის სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ობიექტების მესვეურთ.

როგორც ჩანს, არცთუ დიდი ხნის წინანდელი მწარე გაკვეთილი ზოგან და ზოგიერთისთვის ჭკუის სასწავლებლად არ გამოდგა, ეს რომ ასეა, ნათლად დადასტურა აქვე თბილისის მახლობლად, მცხეთის რაიონში მოწყობილმა შემოწმებამ.

აბა, რა სიფხიზლეზე, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზრუნვაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სოფელ დიღმის სასურსათო მაღაზიაში მომხმარებელს, რასაკვირველია, უპირველესად, ბავშვებს, უკვე შარშან ივლისში ვადაგასულ სალეკ რეზინს სთავაზობდნენ. სასურსათო მაღაზია „არმაზში“ ჯერ კიდევ 3 წლის წინათ ვადაგასული „ლიმონისა“ და „ჩაის“ დრაჟეთი, აგრეთვე დაობებული თევზით ვაჭრობდნენ, ქვემო ქანდის მაღაზიაში კი იყიდებოდა შარშან სექტემბერში ვადაგასული კაკაოს ფხვნილი და

დროულად ვერ მოემზადნენ

წელს ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურები 5662 ჰექტარზე უნდა დათესონ. აქედან 1195 ჰექტარს კარტოფილი დაიკავებს, 2800 ჰექტარს კი ერთწლოვანი ბალახები. ასობით ჰექტარზე უნდა დაითესოს ქერი, შვრია, ლობიო, საკვები ძირხვენები და სხვ.

ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო, და ეს უწინარეს ყოვლისა საგაზაფხულო თესლს ეხება. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების უმრავლესობამ დროულადაც მოიმარაგა კონდიციური თესლი. ქერის, შვრიის, ბალახების თესლები საგეგმოზე მეტიც კი შეინახეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით კარტოფილის თესლზე — 5 ათასი ტონის ნაცვლად 4880 ტონა იყო მომარაგებული.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ რაიონის ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებას. მაგალითად, შემოწმების დღისათვის შვრიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაუწმენდავი ჰქონდათ ამათნევის, სხვილისის, წყრუთის საბჭოთა მეურნეობებს, ქერის დაბალი კონდიციის თესლი ჰქონდათ წყრუთის მეურნეობას, ხოლო შვრიისა — წყალტუბოს და ამათნევის საბჭოთა მეურნეობებს.

ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას არა ჰქონდა საჭირო რაოდენობის კარტოფილის თესლი, არადამაყოფილებელი იყო არსებულის შენახვისა და გადარჩევის მდგომარეობა. ბამჟოს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ვ. ოგანესიანი, მთავარი აგრონომი— ვ. მარტინენკო) საგეგმოზე 20 ტონით ნაკლები კარტოფილის თესლი შეინახეს, ხოლო სხვილისის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ა. აბრამიანი, მთავარი აგრონომი — შ. ნათენაძე) 60 ტონა სათესლე კარტოფილი აკლდათ. საქმეს არც წყრუთის საბჭოთა მეურნეობაში (მთავარი აგრონომი — რ. სამსონაძე) შესდგომოდნენ. სამწუხაროდ, აქ საწყობში თესლი ულპებოდათ, ეს მაშინ, როცა ნორმასთან შედარებით 43 ტონით ნაკლები თესლი ჰქონდათ მომარაგებული. 70 ტონამდე სათესლე კარტოფილი აკლდათ მინაძის საბჭოთა მეურნეობაშიც (დირექტორი — შ. ბლიაძე, მთავარი აგრონომი — გ. ნებაძე). შემოწმების დღისათვის კარტოფილის გადარჩევა არ დაეწყოთ აგრეთვე წყალტბილის, აბათნევის, ჰამჯოს, საძელის, სხვილისის, სვირის საბჭოთა მეურნეობებში, ანის, ხეოთის და ურავლის კოლმეურნეობებში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ბოსტანჯიშთესლის“ სარაიონთაშორისო განყოფილებიდან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს ბოსტნეულისა და ძირხვენების თესლი კატეგორიული არ ჰქონდათ,

ლოო ანგარიშით კი არ არის აღმოფხვრილი ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ადამიანთა მასობრივი მოწამვლაც კი შეიძლება გამოიწვიოს.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომაზე ზემოთქმულის დასადასტურებლად მრავალი ფაქტი მოიყვანეს: საქართველოს სსრ სახადრომრეწვის მცხეთის საკონსერვო ქარხანაში დირექტორი ზ. მაჩაიძე, როგორც თვითონ განაცხადა, შედარებით ახალი კაცია. ეს თავის მართლებაა. იგი ქარხანას სწორედ იმიტომ ჩაუყენეს სათავეში, რომ იქ წესრიგი დაემყარებინა, პროდუქციის ხარისხი აემაღლებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მარტო შარშან სუფწყებო კონტროლმა სხვადასხვა მიზეზით

თანამდებობა დაატოვებინეს

ენდე და შეამოწმეო, ნათქვამია, და სწორედ ასე მოვიქეცთ, როცა დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტისა და სახელმწიფო ავტოინსპექციის რაიონული განყოფილების მუშაკები ავტოსადგურ „დიდუბეში“ მგზავრთა მომსახურების მდგომარეობას ვამოწმებდით და სადგურის ტერიტორიიდან გასულ თუ გასამგზავრებლად გამზადებულ 6 ავტობუსში 29 უბილეთო მგზავრი აღმოვაჩინეთ.

უბილეთო მგზავრსაც გააჩნია. მაგალითად, ქალაქის საზოგადებრივ ტრანსპორტზე, თუ კონტროლიორმა არ წაასწრო, ის ერთ შაურს პარავს სახელმწიფოს და ბილეთის ღირებულება მის ჯიბეში რჩება. მაგრამ საქალაქთაშორისო ავტობუსზე სულ სხვა ნიხრია და ადვილი საანგარიშებელია, რამდენი დააკლდებოდა სახელმწიფო სალაროს, თუ, მაგალითად, სოხუმამდე ბილეთი 7 მანეთი და 60 კაპიკი ღირს და ამ დროს იქით მიმავალ ავტობუსში 8 უბილეთო მგზავრია. ცხადია, სახელმწიფოს კი დააკლდა, მაგრამ იმ ფულმა მგზავრებისა კი არა, მძღოლების ჯიბეებში ამოყო თავი. 10 უბილეთო მგზავრი იყო ხაშურისაკენ დაძრული ავტობუსში. იქამდე ბილეთი 2 მანეთი და 90 კაპიკი ღირს, 3 კაცი კი ბათუმამდე აპირებდა ასე მგზავრობას (ერთი ბილეთი — 7 მანეთი და 10 კაპიკი).

მაშინ ავტოსადგურის უფროსმა ე. გოზალიშვილმა ვერ უზრუნველყო ხახვისა და საკვები ჭარხლის საჭირო ჯიშების თესლის შემოტანა.

ამას წინათ რაიონში მოწყობილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რესპუბლიკურმა დათვალიერებამ სერიოზული ნაკლოვანებები გამოაკლინა. შეშფოთებას იწვევს ის გარემობა, რომ დათვალიერების შემდეგაც ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს არაფერი გაუკეთებიათ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ბოლო ხანს სახალხო კონტროლის ორგანოებში საგრძნობლად იმატა წერილების ნაკადმა, რომლებშიც გამოთქმულია უკმაყოფილება სატელეფონო მომსახურების დაბალი დონის გამო. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მარტო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტში თბილისის სხვადასხვა რაიონიდან შემოსული ამგვარი განცხადებების რაოდენობამ ორასს გადააჭარბა.

ავტორთა უმრავლესობა მოიხსოვს დამყარდეს სრული წესრიგი ტელეფონების დადგმის მსურველთა ალრიცხვაზე აყვანისა და ბინების სატელეფონო მომსახურების საქმეში. მართლაცდა, ძნელი ასახსნელია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ქალაქის სატელეფონო ქსელის გაფართოების სამუშაოების ზრდისა, ტელეფონის დადგმის მოზოვნელთა რიგი არ მცირდება. უფრო მეტიც, თუ 1984 წელს ალრიცხვაზე იყო 117.784 მოქალაქე, მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მათმა რიცხვმა 126.462-ს მიაღწია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ არ იყო დაკმაყოფილებული დიდი სამამულო ომისა და შრომის პირველი ჯგუფის 3.662 ინვალიდი, 4.195 სამამულო ომის მონაწილე, აქვე თუ იმასაც დავძენთ, რომ 5 ათასზე მეტი კაცი ალრიცხვაზე იმყოფება 20 და

(მშრალ ნივთიერებათა ნაკლებობა, ბომბაკი, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, არასასაქონლო სახე და სხვ.) დაიწფნა 46 ტონა ყურძნისა და ვაშლის წვენი, 206 ტონა ხილის პიურე, 32 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, ხოლო მომხმარებლებმა საწარმოს უკან დაუბრუნეს 46,4 ათასი მანეთის დაბალხარისხოვანი კონსერვები.

ახალ დირექტორს კოლექტივი უპირველესად წუნდებული საქონლის გამოშვების წინააღმდეგ უნდა დაერაზმა, მისი აღკვეთისათვის ეზრუნა, დღეს კი შარშანდელზე უკეთესი მდგომარეობა როდია. ამ შემოწმების მიმდინარეობისას ზემოთ დასახელებული მიზეზებით სახალხო კონტროლიორებმა დაიწფნეს 3,6 ათასი ქილა ვაშლის ნატურალური წვენი, ეს კი ამ შემოწმებული პროდუქციის 100 პროცენტია.

ქარხანაში სახელმწიფო და ტექნოლოგიურ დისციპლინასთან ერთად უწინარესად სანიტარიული წესრიგიც უნდა დამყარდეს, თორემ პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არადა, დღეს მზა პროდუქციის დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ, ისედაც უსუფთაო ეზოში ინახება.

ვის ვუდგამთ ტელეფონს?

პროგლემა კვლავ

მოუგვარებელია

მეტი წელია, გასაგები გახდება შექმნილი მდგომარეობის მთელი სიმძიმე. ამგვარ პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კავშირგაბმულობის ყველა რგოლის, სატელეფონო ქსელის თითოეული მუშაის გამართულ მუშაობას. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. სატელეფონო სამსახურებში, განსაკუთრებით კი რაიონულ კვანძებში, ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება მოქალაქეთა თხოვნისადმი უსულგულო, ჩინოვნიკური დამოკიდებულების ფაქტები. რაოდენ გასაკვირია, როცა ამის პარალელურად კავშირგაბმულობის ზოგიერთი ხელმძღვანელი შესაშურ ოპერატიულობას იჩენს ცალკეული, არცთუ მთლად ნათელი საკითხის გადაწყვეტისას.

მსჯელობა რომ ზოგადი არ გამოგვიდეს, მოვიყვანთ ერთ მაგალითს, უფრო სწორად, ერთი განცხადების შესწავლის შედეგებს, რომელთაც მრავალი დამფიქრებელი პრობლემა წამოჭრა: წელს 2 მარტს კომიტეტში შემოვიდა თბილისის ოქტომბრის რაიონის საზკვების № 82 გაერთიანების გამგის გ. მალანიას განცხადება, ბის გასქელების მისწრაფება, ასე მძლავრად ფესვგადგმული რომ ყოფილა აქ.

ამიტომაც ერთსულოვანი იყო კომიტეტის წევრთა აზრი — გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის თანამდებობიდან გადაეყენებინათ ავტოსადგურის უფროსი უ. წიკლაური. სავსებით სამართლიანი იყო ჩვენი გადაწყვეტილებაც საქართველოს კომპარტიის პირველი მაისის რაიკომის ბიუროს განსახილველად შეგვეტანა თბილისის სამგზავრო საკვანძო ავტოსადგურის უფროსის ვ. ქავთარაძის პასუხისმგებლობის საკითხი.

პარტიის რაიკომმაც ოპერატიულად განიხილა სახალხო კონტროლიორთა წარდგინება და მუშაობისადმი კონტროლის შესუსტებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ვერ შეძლო საქვეუწყების ობიექტებში სათანადო სახელმწიფო წესრიგის დამყარება, სკკპ წევრი ვ. ქავთარაძე გაანთავისუფლა თანამდებობიდან, ხოლო სადგურის კომუნისტებსა და თანამშრომლებს შორის პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონისათვის, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განუხორციელებლობისათვის სამგზავრო საკვანძო ავტოსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ა. სულაბერიძეს გამოუცხადა საყვედური.

ა. მემანიშვილი,

თბილისის პირველი მაისის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

სიახლეთა პანორამა

⊙ **საქართველოს** სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ მოაწყო რესპუბლიკის იმ საწარმოთა სახალხო კონტროლის კომიტეტებისა და ჯგუფების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელშიც პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადავიდნენ.

სემინარის მონაწილეები თავდაპირველად საწარმოს უბნებზე, საამქროებში სახელმწიფო მიღების პირობებში ქართველ ელმავალმშენებელთა მუშაობის ავ-კარგს გაეცნენ. შემდეგ შეკრებილთ პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის თავისებურებებზე ესაუბრნენ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე მ. გეგეშიძე, სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ღლონტი, მრეწველობის განყოფილების გამგე გ. მგელაძე, გაერთიანების გენერალური დირექტორი ზ. ჩოვაძე. სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება.

საწარმოო გაერთიანების მრავალტრაკიანმა გაზეთმა „ელმავალმშენებელმა“ რესპუბლიკურ სემინარს „სახალხო კონტროლის გვერდის“ სპეციალური გამოშვება მიუძღვნა.

⊙ **ქასპის** სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა გადაწყვიტა რაიონის მშრომელებს პერიოდულად გააცნოს არა მარტო უკვე ჩატარებული შემოწმებების შედეგები და მის გამო გატარებული ღონისძიებები, არამედ უახლოეს პერიოდში დაგეგმილი შემოწმებებიც, რაც უზრუნველყოფს შემოწმების მსვლელობაში მშრომელთა აქტიურ ჩაბმას, მის ფართო საჯაროობას.

რაიონულმა გაზეთმა „განთიადმა“ მკითხველებს გააცნო, თუ რა შემოწმებები აქვს დაგეგმილი კომიტეტს უახლოეს ხანში.

პოტკომბინატის საკონდიტრო საამქროში იშვიათი როდია რეცეპტურის დარღვევით პროდუქციის გამოშვების ფაქტები. მაგალითად, შარშან და წლეულს ისე დაამზადეს 1400 კილოგრამი კაკლის რულეტი, რომ მასში 230 კილოგრამი არაჟანი საერთოდ არ მეურვეოთ, ხოლო ნუშის ნამცხვარში ძირითადი კომპონენტის — ნუშის გულის ნაცვლად თხილს ურევდნენ.

როცა სასურსათო პროდუქტების დამამზადებელ და გამსაღებელ ობიექტებში ასეთი მდგომარეობაა, უფრო მოქნილი მუშაობა, თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობის ამაღლება მართებს რაიონის სანეპიდსადგურს, თორემ, რა გამოდის, შარშან სადგურის მუშაკებმა 7-ჯერ შეამოწმეს საკონსერვო ქარხანა, მაგრამ ამას რატომღაც ქმედითი ღონისძიებები არ მოჰყოლია. სანიტარიულ-ჰიგიენური წესების უხეში დარღვევები კი კვლავ გრძელდება. ასეა სხვაგანაც. ამიტომ მოითხოვეს კომიტეტის წევრებმა სანეპიდსადგურის უფროსის ჯ. ახვლედიანის (მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ თანამდებობაზე არცთუ დიდი ხანია მუშაობს) მკაცრი დასჯა.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა პრინციპული შეფასება მისცა გამოვლენილ დარღვევა-ხაკლოვანებებს. მკაცრად დასჯა მცხეთის საკონსერვო და ღვინის ქარხნების დირექტორები ზ. მაჩაიძე და გ. მჭედლიშვილი, რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი ჯ. ახვლედიანი, მეხორცული ქარხნის რეპროდუქტორის დირექტორი ი. დალაქიშვილი. რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის ა. გაგნიძის პასუხისმგებლობის საკითხი კი განსახილველად საქართველოს კპ მცხეთის რაიკომს გადაეცა.

მაგრამ განა მთავარი სასჯელია, რაგინდ მკაცრიც უნდა იყოს ის? მთავარია იმათ, ვისაც ასეთი რთული უბნები ანდეს, კარგად შეიგნონ თავიანთი პასუხისმგებლობა ქვეყნის, ხალხის წინაშე, ის, რომ ძველებურად მუშაობა აღარ არგებთ, რომ დღეს ცხოვრება ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ყველას და მით უმეტეს იმათ, ვისი სულ მცირე შეცდომაც კი საფრთხეში აგდებს ადამიანის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას.

მრეველდება საკავშირო მასშტაბიანი შემოწმება

სათბობ-ენერგეტიკული რესურსებს—ეფექტიანი ხარჯვა

ზრუნვას არ მოვაკლებთ

შარშან ფოთის ნავსადგურში 157,4 პირობითი ტონა სათბობი და 107,5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგა. ამაში მცირე წვლილი რიდი მიგვეძღვის ჩვენ, სახალხო კონტროლიორებს. წლეულს, როცა მასობრივი საკავშირო შემოწმება მიმდინარეობს, გავაკეთებთ ჩვენი საქმიანობა და მარტო ორ თვეში, მკაცრი ზამთრის მიუხედავად, უკვე 35 პირობითი ტონა სათბობი და 21,7 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დავზოგეთ.

მარტო 1986-87 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ნავსადგურის სახალხო კონტროლიორებმა კომკავშირულ პროექტორისტებთან და სარევიზიო სამსახურებთან ერთად 90-მდე რეიდი და მასობრივი შემოწმება მოაწყვეს. ცხადი გახდა, რომ ყველგან ერთნაირად რიდი ზრუნავდნენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვისათვის, ზოგჯერ ნაკლებეფექტიანი იყო განხორციელებული პროფილაქტიკური ღონისძიებ ებ ი. ელექტროენერგიის დიდი გადახარჯვა იყო სანავსადგურო ფლოტში, ავტომეურნეობაში კი დარღვევით წარმოებდა ამ რესურსების აღრიცხვა. შემოწმების მასალები ნავსადგურის ადმინისტრაციას გადაეცა, გამოწვეული ზარალისათვის ამ უბნების ხელმძღვანელებს მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

ამ მიმართულებით ჩვენს მუშაობას ახალი ბიძგი მისცა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებით დაწყებულმა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ყაირათიანი ხარჯვის საკავშირო მასობრივმა შემოწმებამ. დიახ, ეს კამპანია ჩვენთან ნამდვილად მასობრივ ღონისძიებად იქცა, მარტო წლეულდელ პირველ კვარტალში შემოწმებებში 200-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. კომკავშირულ პროექტორისტებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მოწყობილი 7 რეიდის მასალა რეგიონისათვის ადმინისტრაციასა და პარტიულ კომიტეტს გადავეცით.

სერიოზული დარღვევები გამოვლინეთ № 3 სატვირთო-საწარმოო კომბინატში, სატრანსპორტო ფლოტში, მეზღვაურთა კლუბში, კულტბაზაში, ინტერკლუბში. ჩვენი წინადადებით სამსახურებისა და ობიექტების ხელმძღვანელები ადმინისტრაციამ დააჯარიმა. მასობრივი შემოწმების პირველი შედეგები სახალხო კონტროლის ჯგუფისა და „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის ერთობლივ სხდომაზე განვიხილეთ. ენერგეტიკული რესურსების უყაირათო ხარჯვისათვის 17 პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტება მოვისმინეთ. ამ ხნის განმავლობაში 6 კაცს ფულადი დაჯარიმება დაეკისრა, 7 პასუხისმგებელმა მუშაკმა კი ადმინისტრაციული სასჯელი მიიღო.

მასობრივი შემოწმება გრძელდება. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ელექტროენერგიის ყაირათიანი, მომჭირნე ხარჯვისათვის ზრუნვას არ ვანებებთ, ეს საკითხი ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იქნება.

დ. ჟიბნა,

ფოთის ნავსადგურის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

რაღაა იგი სინათლე...

დღისით-მზისით 22 ასსანთლიანი ნათურით ისე იყო გაჩირაღდნებული გორის რაიონის ქვეშის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა, თავაში ნემსი რომ ჩაგვარდნოდათ, იმასაც იოლად მიაგნებდით.

ეხთოს, ვის რას უშლისო, — ამბობენ ამ მეურნეობის თავკაცები და არად მიაჩნიათ, რომ სწორედ ელექტროენერგიის ასეთი უყაირათო, არამეურნეობრივი ხარჯვის გამო შარშან ლიმიტის გადამეტებით 448 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯეს, რაც შემდეგ გადიდებული ფასებით აანაზღაურებინეს და, სამწუხაროდ, საკუთარი კი არა, მეურნეობის ანუ სახელმწიფოს ჯიბიდან 21.956 მანეთი გადაიხადეს. ამისათვის კი მკაცრად არავის მოჰკითხეს.

მაინც პასუხს არ მოგვთხოვენო და, ისარგებლეს რა სანეკიერო-საბუღალტრო სამსახურების დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით, ავტომძღოლებმა ზარდეს და ზარდეს გარბენილი კილომეტრები, დიდი გაჭრიანობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ქვეშ-გორის მონაკვეთზე ავტომანქანა 140-150 კილომეტრს, ხოლო თვით მეურნეობის შემოგარეწში 200-260 კილომეტრს ვერ გაირბენდა. სასაგზურო ფურცლებში კი უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ეს მანძილებია ნაჩვენები. თუმცა ზოგჯერ ესეც როდი უკმარიათ და სატვირთო ავტომანქანებისათვის იმავე გზაზე დღეში 500-550 კილომეტრი „გაურბენებიათ“. რა შეუშლიდათ ხელს, ავტომანქანების სპიდომეტრები ჩვეულებისამებრ არ მუშობს, ქაღალდი კი ყველაფერს იტანს.

სწორედ განუკითხაობის ასეთმა ატმოსფერომ განაპირობა, რომ მეურნეობაში შარშან ვითომ 36 ტონა ყველა სახის საწვავია დაზოგილი, მაშინ როცა ფაქტობრივად 28 ტონა საწვავია გადახარჯული.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უყაირათო მფლანგველური ხარჯვის სენი ხხვა მეურნეობებსაც გადასდებიათ და ძვირადაც დასჯდომიათ.

შინდისის საბჭოთა მეურნეობას 371 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადაუხარჯავს და ამისათვის 38.584 მანეთი გადაუხდევინებიათ, კარალეთის საბჭოთა მეურნეობას კი 27 ათასამდე კილოვატსაათის გადახარჯვა 2.036 მანეთი დასჯდომია. შინდისის მეურნეობაში თუ ადმინისტრაციულ შენობას ელექტროენერგიით ათბობდნენ, კარალეთელებს თავიანთ კანტორაში დღისითაც თითქმის ყველა ნათურა ენთოთ.

შინდისელებს არც ავტომანქანების სასაგზურო ფურცლებში გარბენილი მანძილების ხელოვნურ გადიდებაზე უთქვამთ უარი. ასე დაზოგა მძღოლმა ვ. საბანაძემ 1762 ლიტრი ბენზინი, ხოლო მძღოლმა ი. ლოლაძემ — 525 ლიტრი. სწორედ ამ გზით შარშან მეურნეობაში თითქოს და 16747 ლიტრი ბენზინი დაუზოგავთ. ასევე „დაზოგეს“ 60 ტონა დიზელის საწვავი.

ავტომანქანების გარბენის წამატებებს ვერც ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში აარიდეს თავი, რამაც ბენზინის არარეალური ეკონომია გამოიწვია.

მაგრამ ბოლომდე ჭირმა თავი ვერ დამალა, და გორის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა დასახელებული მეურნეობების სახალხო კონტროლის ჯგუფების მოთხოვნითა და მათთან ერთად მოწყობილი შემოწმებების შედეგების მიხედვით სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისა და საწვავ-საპოხი მასალების უყაირათო მხარჯველებს საკადრისად მოჰკითხა.

კომიტეტის დადგენილებით თანამდებობიდან გადააყენეს ქვეშის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი თ. ელიზბარაშვილი და მთავარი ბუღალტერი ტ. გამდლიშვილი.

სასტიკი საყვედური გამოუცხადეს შინდისის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორს ს. ეგაძეს, მან ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის საკუთარი ჯიბიდან უნდა გაიღოს ერთი თვის ხელფასის შესაბამისი თანხა.

ამჯერად საყვედურები აკმარეს ვარიანისა და კარალეთის საბჭოთა მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიზატორებს თ. გალუსტაშვილსა და ა. რევაზიშვილს.

შინდისის, კარალეთის, ვარიანისა და ქვეშის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ზ. მაჭარაშვილს, ა. წვერავას, ვ. ბასილაშვილსა და შ. კეჩხუაშვილს დაევალათ თავიანთ შრომითს კოლექტივებს მოახსენონ ასეთი უყაირათობის, მფლანგველობის მიზეზები და ისიც, თუ რა კეთდება მათ აღმოსაფხვრელად.

გ. კვიციანაძე,

გორის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი.

წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება საწარმოო გაერთიანება „თეთრონის“ კოლექტივმა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 580 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

ახლა საწარმო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხარისხს. ამაში დიდი წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლიორებსაც. ისინი დღენიადაგ თვალყურს ადევნებენ უბნებისა და ბრიგადების საქმიანობას და ადამიანებს სახალხო დოვლათისადმი უყაირათიან დამოკიდებულებას უნერგავენ.

სურათზე: სახალხო კონტროლიორები — გაერთიანების ცენტრალური ლაბორატორიის ინჟინერ-ქიმიკოსი ლიანა აღდგომელაშვილი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ლაბორანტი ირმა გუგეშაშვილი და ნედლეულისა და მასალების მიმღები, ლაქსაღებავების წარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მარინე სარქისიანი მორიგი რეიდის დროს ამოწმებენ ახალი ლაქსაღებავ „მოდენას“ ხარისხს.

ე. რახლეევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ბაგრატ შინქუბა

ულოცავენ

ბაგრატ შინქუბა აფხაზური პოეზიის აღიარებული ოსტატი და ვნობიები საზოგადო მოღვაწეა. პოეტის 30-იანი წლების ეირიკა, დიდი სამამულო ომის დროს და შემდგომ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებები პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ღრმა გრძნობებით არის გამსჭვალული.

ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ

ბაგრატ შინქუბა უკანასკნელ წლებში წარმატებით მოღვაწეობს აგრეთვე პროზისა და დრამატურგიის ჟანრებში, მისი სკენარით კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიამ გადაიღო ფილმი „თეთრი ყაბალახი", რომელმაც კინშინოვში საკავშირო ფესტივალზე ერთ-ერთი საპატიო ჯილდო დაიმსახურა. ბ. შინქუბას მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფია რომანი „უკანასკნელი უბიხი".

დიდ ძალასა და ენერგიას ახმარს ბ. შინქუბა მხატვრულ თარგმანზე მუშაობას. მან აფხაზურ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა რუსული და ქართული ლიტერატურის კლასიკოსების, სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ლიტერატურის მრავალი ნიმუში. ასე, მაგალითად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ნაწყვეტები. ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ბაირონის, გოეთეს, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, ი. აბაშიძის და მრავალი სხვა მწერლის ნაწარმოებები. ბ. შინქუბა აფხაზური ხალხური პოეზიის უბადლო მკოდნეა, მისი დაუღალავი შემგროვებელი და ნიჭიერი მკვლევარია.

ბ. შინქუბა აქტიურად მონაწილეობს ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების საქმეში. მისი დამსახურება მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს. მას აფხაზ მწერალთაგან პირველს მიენიჭა დ. გულიას სახელობის პრემიის დაურეატის წოდება. დაჯილდოვდა ლენინის, შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობის ორდენებით და მრავალი მედლით.

ბ. შინქუბა თავის 70 წლისთავს ძალ-ღონითა და ენერგიით აღსავსე ეგებება, შრომობს დაუღალავად. სულითა და გულით ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

ალექსი ჯონუა,
აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲒᲜᲔᲑᲐ

სულითა და გულით ვულოცავ ჩემს უძველეს, ძვირფას მეგობარს ბაგრატ შინქუბას სსრ კავშირის უმაღლეს ჯილდოს, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას.

გამოჩენილ საბჭოთა მწერალთან, ღიდებულ აფხაზ პოეტთან ორმოცდაათი წლის ტკბილი მეგობრობა მაკავშირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითქმის მთელმა მისმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ ჩემ თვალწინ ჩაიარა. ჩემ თვალწინ ამაღლდა და იგი მშობელი ხალხის, მშობლიური აფხაზეთის სახალხო პოეტობამდე!

ᲥᲛᲖᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲮᲛᲘᲐᲜ ᲞᲝᲛᲖᲘᲐᲨᲘ

მე ის ბაგრატ შინქუბა მახსოვს, რომელიც 30-იანი წლების ბოლოს შავი ზღვის ნაპირებზე, სოხუმის ქუჩებსა და სკვერებში გატაკებით საუბრობდა ხოლმე ბლოკსა და მაიაკოვსკიზე, ბაგრიცკიზე და გალაკტიონ ტაბიძეზე და შემდეგ თავისებური გამოთქმით მიაყოლებდა ხოლმე საკუთარ სტრიქონებს აფხაზურ ენაზე. მერე ჩვენ დიდხანს ვბაასობდით ხოლმე პოეტურ ოსტატობაზე, და თუ დღეს აფხაზური პოეზია ასე თამამად ყღერს ჩვენი ქვეყნის მრავალხმიან პოეზიაში, ამაში ჩვენი ძვირფასი იუბილარის მაღალ ოსტატურ სტრიქონებს ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის.

მაღლიერმა სამშობლომ—აფხაზეთმა მის დიდებულ მომღერალს ბაგრატ შინქუბას სახალხო წოდება მიანიჭა. ეს დიდი გამარჯვება და აღიარებაა, მაგრამ იგი ამავე დროს საყვარელი და აღიარებული საზოგადო მოღვაწეც არის.

სწორედ აღიარებამ და სიყვარულმა გახადა იგი ასე ნაყოფიერი. უკანასკნელი წლების მანძილზე მან არაერთი შესანიშნავი ლექსი თუ პროზაული ნაწარმოები შექმნა, ახალი პოეტური სახეებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა. ახლახან ქართველი მკითხველი გაეცნო მის რომანს „უკანასკნელი უბიხს", რომელიც ფართო საზოგადოებრიობამ კარგად მიიღო.

ასეთი ნაყოფიერი და აქტიური, შრომისმოყვარე კაცია ბაგრატ შინქუბა, იგი დღესაც მოუღლელი ენერგიით იღვწის მშობლიური ლიტერატურის გასამდიდრებლად. მისგან ჯერ კიდევ მრავალ წიგნს, მრავალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს მოელის მისი მკითხველი.

ვუსურვებ ჩემს ძვირფას მეგობარს, ჩვენს ბაგრატს, მრავალ ახალ შემოქმედებითს სიხარულსა და დღეგრძელობას.

ირაკლი აბაშიძე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲓᲒᲐᲛᲐ

ქართველი საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინქუბას დაბადების 70 წლისთავს. ეს ფაქტი იმ სულისკვეთების გამოვლინებაა, რომელიც ისტორიულად არსებობს ქართველ და აფხაზ ხალხებს, ქართულ და აფხაზურ მწერლობას შორის.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის თაობა, ქართველ მოღვაწეთა ერთ-ერთ საზრუნავს აფხაზეთისა და აფხაზი ხალხის ბედი, მათი განათლება საქმე წარმოადგენდა. „ჩვენ, ქართველებს, — წერდა იაკობ გოგებაშვილი, — მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საოვთისმეტყველო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც. მათ შორის აფხაზებისთვისაც".

ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის მკვლევარი ო. ჭურღულია სწორად მიუთითებს, რომ „მომდე ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ ურთიერთობას მეტად მდიდარი ტრადიციები აქვს"... თვით ბაგრატ შინქუბამ, რომელიც დღეს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საზეიმოვანი წარმომადგენელია, 1979 წელს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „აფხაზური ლიტერატურის ფორმირებაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა მთელმა ქართულმა მწერლობამ, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებმა ი. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა დიდი ზემოქმედება იქონიეს აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელზე — დ. გულიაზე".

ბაგრატ შინქუბას პირველი პოეტური კრებული „პირველი ლექსები" 1938 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო მისი მოკრძალებული გაცხადი ამ დროისათვის უკვე ძლიერ აფხაზურ პოეზიაში.

ახალგაზრდა პოეტის ამ კრებულმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება როგორც ახალმა ნაკადმა აფხაზურ პოეზიაში.

ბაგრატ შინქუბა მამულის კაცი, აქტიური პოეტი და მოქალაქეა. მის ლირიკაში ისმის ეპოქის ხმები და რიტმი, სამშობლოზე შეყვარებული პოეტის გულისცემერა. რეალისტი მწერალი თავისი ხალხის აწმყოს თუ წარსულს ფხიზელი თვალით ხედავს. ერთი მხრივ, სიყვარულითა და აღტაცებით წერს ახალ ადამიანზე, ხოლო კრიტიკული და დაუნდობელია ნეგატიური მოვლენების მიმართ და უარყოფითი ბუნების ადამიანებისადმი.

ფერადოვანია ბაგრატ შინქუბას მხატვრული პალიტრა, რომელიც მთელი სისავსით გამოიკვეთა 40-50-იანი წლებიდან. თემატურ-პრობლემური მრავალფეროვნება (ლირიკულ თუ ეპიკურ ქმნილებათა) ავტორს გადაწყვეტილი აქვს ჟანრული მრავალფეროვნებით. იგი ლირიკული ლექსების, სიმღერების, ბალადების, პოემის, რომანი-ლექსის, დრამატული პოემის, კომედიის, მოთხრობისა და რომანების ავტორია. ჩვენთვის ძნელია განჭაზღვროთ, რომელ ჟანრში უფრო ნაყოფიერია იგი. ჩვენი აზრით, მისი ნაწარმოებები (ლირიკული თუ ეპიკური) თანამედროვე აფხაზური მწერლობის მშვენებაა, ხოლო ბევრი მათგანი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი შენაძენია.

ბაგრატ შინქუბას პოეტურ ეპოსში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენაა რომანი ლექსად „ჩემი თანამემამულენი", რომელიც აფხაზურ ლიტერატურაში წარმოადგენს რომანი-ლექსის პირველ ნიმუშს. პოემის გმირები გამოირჩევიან კონსერვატიზმისა და რუტინის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით. ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა პოემის ერთ-ერთი პერსონაჟის — პროფესორ ძნელაძის სახე. დრამატულ სიტუაციაში პოემის გმირი დამეი ძნელაძის დახმარებას მოელის:

ის თბილისში ცხოვრობს ახლა,
ძნელაძეა მისი გვარი,
მიგწერ წერილს, წაიკითხავს,
ჩემი ძველი მეგობარი.
პასუხს ის არ დააყოვნებს,
ბარათს ის არ დამზარდება,
თმაჭაღარა მეცნიერი
უმალ წერად დაბრძანდება.
პროფესორი გახლავს ახლა
ჩემი ძველი მეგობარი.

ამ სტრიქონებში გამოხატულია ქართველ-აფხაზთა ისტორიული ერთიანობა, მეგობრობა და ძმობა.

50-იანი წლებიდან ბაგრატ შინქუბა ქმნის აფხაზური პოეზიის შედევრებს, რომლებიც ინტერესს აღძრავენ ფილოსოფიური გაგებით.

1905 წლის რევოლუციურ წარსულს მიუძღვნა მან გმირულ-ეპიკური პოემა „ალდის სიმღერა" (1985 წ.), რომელშიც პროფესორ შ. ინალ-იფას თქმით, „ჰარმონიულად შერწყმულია ისტორიული სინამდვილე, რევოლუციური რომანტიკა, პოეტური ფანტაზია და მკაცრი რეალიზმი". პოემა, რომელიც მაღალ დონეზე თარგმნეს გრიგოლ აბაშიძემ, შოთა ნიშნიანიძემ, კარლო კალაძემ და რევაზ მარგიანმა, იკითხება ლაღად, მასში აფხაზი ხალხის ბრძოლა დანახული რუსეთისა და საქართველოს რევოლუციური ბრძოლის ფონზე. ავტორი ხატავს ამ პერიოდის გართულებულ სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის სურათს, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ფსიქიკის ადამიანებს. პოემის გმირი ჰაჯარათ კიახბა იღუპება. მაგრამ მთლიანად ნაწარმოები ოპტიმისტურია.

განსაკუთრებული მხატვრული ძალისაა ბაგრატ შინქუბას დრამატული პოემა აფხაზური ლეგენდის მიხედვით „ძმები", რომელშიც გამოხატულია აფხაზი ადამიანის (შვილები, დედა) მაღალი ზნეობრივი სიწმინდე და ურყევი, მტკიცე ხასიათი, რამაც მთელი ოჯახი ტრაგიზმამდე მიიყვანა.

60-იანი წლების დასასრულიდან მწერალმა მოსინჯა კალამი პროზაში და დიდი წარმატებითაც. 1969 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა „ჩანთა დაბრუნდა" (იგი იმავე წელს ითარგმნა და დაიბეჭდა ჟურნალ „ნოვი მირში" № 6). ეს არის მრავალგანზომილებიანი, ფსიქოლოგიური, პრობლემური ხასიათის მოთხრობა, რომლის გმირი — მოხუცი აფხაზი გლეხი ჩანთა, ქალაქში კარგი საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, მშობლიური სოფელს დაუბრუნდა და ცხოვრებას თავიდან იწყებს. მოთხრობა საყურადღებოა თანამედროვე ცხოვრების კრიტიკული პათოსით, მამხილებელი ხასიათით. ავტორი ოსტატურად ხატავს თანამედროვე სოციალისტურ ქალაქსა და სოფელს (ეკონომიკურად ძლიერი, ინტელექტუალური, ცხოვრების მაღალი დონე), მაგრამ თვალს არ ხუჭავს ნეგატიურ მოვლენებზე. კრიტიკული პათოსი, საზოგადოდ, მძაფრია ბ. შინქუბას შემოქმედებაში. (ლექსი „ქამჩა მედროვე").

ბაგრატ შინქუბას შემოქმედებაში განსაკუთრებით ძლიერია სამშობლოს თემა. „სამშობლოს დამკარგველი ყველაფერს დაკარგავს". ეს აფხაზური ანდაზა ეპიგრაფად წარუმძღვარა მწერალმა თავის საყოველთაოდ აღიარებულ რომანს „უკანასკნელი უბიხი". იგი ავტორის რწმენაა და გამოხატავს არა მხოლოდ დასახელებული ნაწარმოების იდეას, არამედ საზოგადოდ მწერლის მთელი შემოქმედების ლაიტმოტივია. მისი პატრიოტიზმი არ არის „კუთხური", შეზღუდული. როგორც მწერალ-ინტერნაციონალისტს, ფართოდ ესმის სამშობლოს ცნება; მისთვის საყვარელია მთელი ჩვენი დიდი სამშობლო თავისი ადამიანებით; განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მწერლის შემოქმედებაში ქართულმა თემამ. გაგვიჭირდება მივუთითოთ მეორე აფხაზი მწერალი, რომელსაც ასე ფართოდ გამოეხატოს ქართველი კაცის კეთილი ბუნება.

პოეტი ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში სიყვარულით წერს რუსთაველის პროსპექტზე, შოთა რუსთაველზე, რომელიც, მისი სიტყვით, „სიმღერის მეუფეა... სადაც უმზეოკვლო, სად წმინდა სიყვარულია, იგი ყოველთვის იქაა, სინათლედ ამმართულია"..

„მარად ჭაბუკი და წარმტაცი საქართველოს" (ბ. შინქუბას გამოთქმაა) მოტივი დღემდე გრძელდება აფხაზი მწერლის შემოქმედებაში და გამოხატულია ლექსებში „მთაწმინდა", „გიორგი ლეონიძის გახსენება" პოემებში „ჩვენი თანამემამულენი", „ალდის სიმღერა", რომანში „უკანასკნელი უბიხი" და სხვ.

ქართული თემა შემთხვევითი როდია აფხაზი მწერლისათვის. მან სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1945 წელს აქვე მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. თბილისში სწავლის დროს იგი მეგობრობს ქართველ მწერლებთან, ბევრს კითხულობს საქართველოს წარსულზე, ეზიარა ქართულ კლასიკურ მწერლობას, თანამედროვეობას, განიცდის ჩვენი ერის ისტორიას, მეგობარ მწერლებთან ურთიერთობისას ეცნობა ქართველი კაცის ხასიათს.

მწერალს ფართო აღიარება მოუტანა რომანმა „უკანასკნელი უბიხი" (1974 წ.). იგი რუსულ ენაზე გამოიცა რამდენჯერმე, ორგზის ქართულ (თ. ჩიჯავაძის თარგმანი), ასევე სომხურ, ბულგარულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

1979 წელს მოსკოვში საჯარო განხილვაზე ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცეს კ. სიმონოვმა, ე. სიდოროვი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ჯონუა, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, პროფესორი შ. ინალ-იფა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ციცინაძილი, გალის რაიონის გუდაკის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის ქარხნის მუშა დ. ჯიქია, მწერალი გ. გულია, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მ. კორტუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჭ. ლომთათიძე, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი ო. ჭურღულია, პოეტები ე. ნიკოლაევსკაია, რ. კაზაკოვი, იუბილარის შვილიშვილი გ. მიქავა.

დასასრულ ბაგრატ შინქუბამ დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას, მშობელ ხალხს ესოდენ დაფასებისათვის.

ი. გობეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲚᲔᲠᲐᲚᲘ

ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐ

მთაო, წმინდაო, მზიან მხარეში
შენს სანახავად ისევ მოველი.
ბრწყინავს დიდებულ მატიანეში
შენი სახელი ოქროს მთოველი.

უქარო დღეა და სიწყნარეა,
ამოველ სიბრძნის დასანაფებლად
და არწივივით არ მიჩქარია
ფრთების გაშლა და მაღლა აფრენა.

რადგან მაღლა ვართ, შენს თბილი უბეში
ვხედავ ბალახებს ნამით განბანილს!
ვხედავ, ვით ჰყვავის ცის სილურჯეში
უბერებელი ქაროლის მთა-ბარი.

შენი უქრობი შუქი დაპნათის.
მათი სავანე მხოლოდ შენა ხარ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲒᲜᲔᲑᲐ

იმ დღეებს ხსოვნა ინახავს ჩემი:
გოგლასთან ერთად ვეწვიე კახეთს,
შემოდგომის მზით ინვოდა გრემი,
მართლაც ზღაპრული სამოთხე ენახე;

იდგა ნამდვილი კახური რთველი,
ხაამო, ტკბილი, ჟორწილის მსგავსი;
ჯოგლამ ლონიერ, დაუღლელ ხელით
გამომინოდა ავსილი თასი.

ხვავს ვერ იტევდა კახეთის კალთა,
ავსე მზითა და მზისფერი მტევნით;
ცის გამჭვირვალე სარკეში ჩანდა
ვეება მხრები ბებერი გრემის.

ჩვენ მივიწევდით მაღლა, სულ მაღლა
და გოგლას ლექსი მესმოდა ტკბილი, —
ის ნამსვე იცნო მშობელმა ხალხმა
კახეთს მოსული ერთგული შვილი.

▲▲

ის მაღლდებოდა ისე ვით გრემი —
მგსონისთვის მართლაც ტრიბუნა დიდი,
კავკასიონზე სიამის მგვრელი
ლექსი დაკრდა — ფრთალაღი ჩიტი.

და ამ მხარეში ძნელია მეტად
ატარო მგოსნის სახელი დიდი,
სად პოეზია დგას ნათლის სეტად,
გადმოკიდულა, ვით ოქროს ხიდი.

უმგოსნო მხარეს უბედოდ ჩავთვლი,
ულექსო მხარეს — უბედო დედად,
აქ კი სავსეა ეს მინა მადლით
და რჩეულ მგოსანს სახავენ ღმერთად.

იმ დღეებს ხსოვნა ინახავს ჩემი
და გოგლას ლექსის ნკრიალი მესმის.
შემოდგომის მზით ინვოდა გრემი,
ხსოვნაში ინვის ეს ჩემი ლექსიც.

თარგმნა რეპაზ მარგიანმა.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

გაზაფხული მობრძანდა
ხსივით, შუქთა მარცვლებით,
დგანან მწვანე ჩოხაში
ხენი ბეჭებშართენი.

როგორც შაქრის ნატეხი,
მზეზე ლღვება ყინული,
„...ჭირნახულის ნელია!
მღერის ჩიტი მისნური.

ყველაფერი იღვიძებს,
ისმის მიწის ბუუნი,
და გაზაფხულს იმედით
ხვდება ყველა სულდგმული.

ᲛᲘᲬᲐ

არ დამცდენია აუგი მიწის,
განა შვილს მშობლის მუნათი მართებს?
და რომც დაკეცე გზაზე, ვით მწირი,
საყვედურს ვეტყვი, ან რაშეს ვკადრებ?

ჩემი პირველი ნაბიჯი გახსოვს,
ჩემი ბავშვობის მჩქეფარე ჟამი,
დედის გულივით თბილო და სათნოვ,
ამაგსე შენი უშქარი ხვავით.

სავსე ხარ ჩემი წინაპრის ძვლებით,
სავსე ხარ, სავსე საფლავის ქვებით, —
და ნაღვლიანი თვალების ფარად
მათი საყდრული სიჩუმე მზარავს.

ო, ნუ იქნები მიწისთვის მწირი,
ის არის შენი უფალი ღმერთი,
თუ ვერ იგრძენი სიკეთე მიწის,
უბრალო თიხად იქცევა შენთვის.

—✦—✦—

ვაშლის ხე, რომლის ტკბილი ნაყოფით
მქონდა ყმაწვილკაცს პირი ჩამტკბარი,
დიდი ხანია დგას მარტოდმარტო
ჟამის გრიგალით რტოებდამშრალი.
იქნებ მეც იმ ხის მჭკნარი ფესვივით
ვხმები ნელინელ მტრის სასეიროდ,
თუ რამ სიკეთე დამითესია,
როდი მოვითხოვ სამაგიროს.
ოღონდაც ამდგეს ხვედრი იმგვარი,
ნუ გარდმავლენს ჩემზე სამყარო
რისხვას... და დამრჩეს მორჩი ახალი,
მე გულზე მინა გადამეყაროს.

—✦—✦—

დგას მთა მაღალი, თმაშეევრცხლილი,
მრავლის მოწმე და მრავლის ამტანი,
გულზე ეცემა წყვილი ცრემლივით
ხსივი და... მიწყივ მეფობს ზამთარი.
დგას ასე უტყვი, ენაუთქმელი
და არც იფიქრებს ბედი ხიზანი,
სულში რომ ქრება ვნება ფიცხელი, —
შენი სიბერის არის ნიშანი.
და აჟვეიშას სამოსახლოდან
მუსმის ეამიკამ ხმები გრძნეული:
„ვინც ფიქრობს, პოვა სიტყვის თილისმა,
ის საბრალოა, ანდა ეული!".

თარგმნა **ᲒᲔᲜᲝ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ.**

ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲙᲐᲪᲘ

აფხაზეთის სახალხო პოეტი ბაგრატ შინქუბა ზეგმიწევნით გამოხატავს თავისი ერის სულს და ხასიათს, ერისა, რომელიც ბავშვობიდანვე შემაყვარეს ქართველმა კლასიკოსებმა აკაკი წერეთელმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, იო ქიაჩელმა, მოგვიანებით აფხაზეთთან, მის შესანიშნავ მწერლებთან კარლო კაკაძემ და რევაზ მარგიანმა დამამეგობრეს. ეს მეგობრობა და სიყვარული მთელ ოჯახს „გადავდე". მე ხომ სიამოვნებით ვთარგმნი აფხაზური პოეზიის ნიმუშებს და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი იუბილარის ნაწამოებებსაც. ჩემმა ძმამ, მაჩაბლის პრემიის დაურეატმა გიორგი ნიშნიანიძემაც ბევრი აფხაზური ლექსი თარგმნა, ხოლო მეუღლემ — თამარ ჩიჯავაძემ თარგმნა ბაგრატ შინქუბას გახმაურებული რომანი „უკანასკნელი უბიხი" და მუშაობს მწერლის მეორე რომანის „გაპობიღის ქვის" თარგმანზე.

ბაგრატ შინქუბა ბრძენი კაცია, ერის კაცია, მან იცის ჭეშმარიტი ძმობის ფასი. სულითა და გულით ვუღოცავ ჩემს უფროს მეგობარს ღირსშესანიშნავ იუბილეს და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ვუსურვებ.

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ აფხაზ მწერალს ბაგრატ შინქუბას დაბადების 70 წელი შეუსრულდა. სულ პირველად რევაზ მარგიანის მიერ თარგმნილი მისი პოემა „ალდის სიმღერა" წაიკითხე, მერე მისი მშვენიერი ლექსები, რომლებიც ჩვენმა გამოჩენილმა პოეტებმა თარგმნეს.

რამდენიმე წლის წინათ აფხაზეთში გამართულ საკავშირო ლიტერატურის დღეებზე პირადად გავიცანი ბატონი ბაგრატი — დარბაისელი, ბრძენი, ჭარმაგი კაცი, დიდებული პოეტი და ბეელტრისტი, რომლის სახელიც განუყოფელია აფხაზური ლიტერატურის ისტორიისაგან. ბაგრატ შინქუბამ ბევრი რამ გააკეთა ქართული პოეზიის აფხაზურ ენაზე ამეტყველებისათვის. მას ლიდი მეგობრობა აკავშირებდა და კვლავაც აკავშირებს ჩვენი საუკუნის გამოჩენილ ქართველ მწერლებთან. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიავ მას სწორედ ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების აფხაზურ ენაზე თარგმნისათვის მიენიჭა. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ჩემზე მოახდინა მისმა გახმაურებულმა რომანმა „უკანასკნელმა უბიხმა" — ამ მართლაც მაღალმხატვრულმა, მძაფრმა და საინტერესო ნაწარმოებმა.

აფხაზეთში ლიტერატურის დღეებზე ყოფნისას მე თავად დავინახე ის ლიდი მოწიწება, ყურადღება და თაყვანისცემა, რომლითაც ბატონი ბაგრატი თავისი თანამემამულეებისაგან არის გარემოსილი.

დღეს ბატონ ბაგრატს ლიდი ზეიმი აქვს. მინდა იმ უამრავ მიღოცვას, რომელთაც იგი ამ დღეებში მიიღებს, ჩემი გულთბილი მიღოცვაც შეეერთო.

ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲦᲕᲐᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲐ

აფხაზეთის სახალხო პოეტს ბაგრატ შინქუბას 70 წელი შეუსრულდა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები მოეწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში.

სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში გაიმართა ბაგრატ შინქუბას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პოეტის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, იუბილეს მომწყობი აფხაზეთის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე ბ. ადლეიბა, ხალიმზე ჩამოსული სსრ კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების, სხვა შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

— დღეს საბჭოთა აფხაზეთის მრავალეროვანი ოჯახი ღრმა პატივისცემისა და გულითადი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს აფხაზური საბჭოთა კულტურის გამჩენელი წარმომადგენლის, აფხაზეთის სახალხო პოეტის, მეცნიერი ფილოლოგის, აქტიური საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის ბაგრატ შინქუბას სახელოვან იუბილეს, — თქვა საიუბილეო საღამოს გახსნისას ბ. ადლეიბამ. — მან აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმის ესტაფეტა ჩვენი მწერლობის ფუძემდებლის დმიტრი გულიასაგან მიიღო და მთელი თავისი ნიჭითა და ენერგიით მრავალი ათეული წელია გაგრძობს ამ საქმეს. ბაგრატ შინქუბას სახელი შორს გასცდა აფხაზეთის ფარგლებს, სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილმა მაღალმხატვრულმა, ღრმა პატრიოტული და ინტერნაციონალური შინაარსის მქონე ქმნილებებმა იგი მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურის წამყვან ოსტატთა რიგებში ჩააყენა.

ბ. ადლეიბამ იუბილარს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის გულთბილი მისალმება და მილოცვა.

სტუმარ ეძლევა აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ვ. კობახიას, რომელმაც ილაპარაკა იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იუბილარს გულთბილად მიესალმენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ე. სიდოროვი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ჯონუა, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, პროფესორი შ. ინალ-იფა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ციცინაძილი, გალის რაიონის გუდაკის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის ქარხნის მუშა დ. ჯიქია, მწერალი გ. გულია, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მ. კორტუა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჭ. ლომთათიძე, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი ო. ჭურღულია, პოეტები ე. ნიკოლაევსკაია, რ. კაზაკოვი, იუბილარის შვილიშვილი გ. მიქავა.

დასასრულ ბაგრატ შინქუბამ დიდი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას, მშობელ ხალხს ესოდენ დაფასებისათვის.

ი. ᲒᲝᲑᲔᲩᲘᲐ,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲔᲡᲐᲮᲚᲘ ᲠᲔᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲘᲢᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1987 წელს რესპუბლიკის მიერ გაყიდული ლიცენზიების ანგარიში გახსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. საერთაშორისო აღიარება მოიპოვა მისი სპეციალისტების მიერ შექმნილმა ზუზუსტმა ჩარხმა, რომელიც უზრუნველყოფს ოპერაციების უმაღლეს ხარისხს ელექტრონულ-ოპტიკურ და მრეწველობის სხვა სარგებში. მისი ლიცენზიები შეიძინა იაპონიის „ტაირიკუ ტრეიდინგის" ფირმამ.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რესპუბლიკაში მტკიცედ ლიდერობს გაყიდული ლიცენზიების რიცხვის მიხედვით. მიმდინარე წელიც პერსპექტიული გამოდგა — უკვე მომზადებულია სამი შეთანხმება საზღვარგარეთელ პარტნიორებთან.

▼▼

ლენინის ყველის კომბინატში განახლდა მაგარი ყველის წარმოება. სავაჭრო ქსელში გაიგზავნა შვეიცარიული და ემენური ყველის დიდი პარტია. საწარმო, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა ხანებში დაიწყო ასეთი ყველის გამოშვება, ინდუსტრიულ ტექნოლოგიაზე გადასვლის შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა დეფიციტური პროდუქციის წარმოებაზე. მეყველეთა ძველი სახელის აღდგენისათვის საჭირო გახდა გარდაქმნა. და, აი ახალი ტექნოლოგიით დამზადებული ყველი უკვე გაიგზავნა სავაჭრო ქსელში. ჯერჯერობით მხოლოდ 115 ტონა, მაგრამ მომავლისათვის დასახულია ერთიორად გაიზარდოს დეფიციტური ყველის, სუდეუნის და კომბინატის სხვა ტრადიციული პროდუქციის გამოშვება.

▼▼

**სარწყავი წყლის მიწოდებას ექვსჯერ გაზრდის მარნეულის რაიონის აღგეთის მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის სატუმში საგდური, რითაც საიმედოდ დაიცავს

გ. ნ. მერკვილაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკაში ფიზიკურული და სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნახალხო განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გიორგი ნოშრევანის ძე მერკვილაძე.

მერკვილაძე დაიბადა 1898 წლის 14 აგვისტოს, ყვარლის რაიონის სოფ. ზილდაში, ხელოსნის ოჯახში. ქ. თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარალელურად მუშაობდა რეალური სახელმძღვანელის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. 1921 წელს შევიდა წითელი არმიის რიგებში და მუშაობა დაიწყო აპარის ასსრ სამხედრო კომისარიატის ფიზკულტურის სამმართველოში ფიზიკურ კულტურის დარგში და ფიზიკურ აღზრდის მეთოდიკის კათედრის გამგედ.

1922 წელს იგი გადაბრაზავთ ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებაში და მუშაობს დივიზიის ფიზკულტურის ინსტრუქტორად, ამავე დროს ინაშნება ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მასწავლებლად, კათედრის გამგედ. შემდეგ — საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი სამეცნიერო-მეთოდიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

1924-1926 წლებში იყო საქართველოს ფიზიკური კულტურის უმაღლესი სამეცნიერო-მეთოდიკური კომიტეტის თავმჯდომარე. 1926 წლიდან მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკურ-აღზრდის კათედრის პრაქტიკული ნაწილის გამგედ.

1935 წელს გ. მერკვილაძე გადაბრაზავთ საშუალო სკოლების ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორ-მეთოდისტად. 1936 წელს — განათლების სახალხო კომისარიატთან ახლად ჩამოყალიბებული ფიზიკური აღზრდის ინსპექციის უფროსად. ამავე პერიოდში გ. მერკვილაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწედ ფიზიკური კულტურის დარგში და ფიზიკურ-აღზრდის მეთოდიკის კათედრის გამგედ.

1947 წლიდან, ფიზიკური აღზრდის ინსპექციის რეორგანიზაციის შემდეგ გ. ნ. მერკვილაძე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან არსებული ფიზიკური აღზრდის მეთოდ-კაბინეტის გამგეა. ამ პოსტზე მან იმუშავა 32 წელიწადს. განუზომელია გიორგი მერკვილაძის დამსახურება ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეში. იგი მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი იყო როგორც ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და ავტორიტეტიანი სპეციალისტი, ინიციატორი მრავალი წამოწყებისა, რომელთაგან პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვთა ფიზიკური აღზრდისათვის სკოლაში თუ სკოლის გარეთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე და ღონისძიება რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში, რომელსაც მოკლებოდა ამ უანგარო მოღვაწის ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება.

გ. ნ. მერკვილაძე 1916-1923 წლებში ითვლებოდა თავისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს ტანმოვარჯიშედ.

იგი ერთგულად ედგა მხარში გიორგი ნიკოლაძეს, გიორგი ეგნატაშვილს და სხვა ცნობილ მოღვაწეებს და ასევე დიდი რუდუნებით სიცოცხლის ბოლო წუთებამდე აგრძელებდა მათ მიერ დაწყებული საქმეს.

გ. ნ. მერკვილაძის მოღვაწეობასთან არის აგრეთვე დაკავშირებული პირველი ცდები საქართველოში სამკურნალო და საწარმოო ფიზკულტურის დანერგვის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზაციის საქმეში, სახეწვლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ბავშვთა სპორტო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების, ფიზიკური აღზრდის ინსპექციების შექმნა, ღონისძიებები საქართველოში ტანვარჯიშის განვითარებისათვის, ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაზე მუშაობა და სხვა.

გ. ნ. მერკვილაძე ავტორია მრავალი მეთოდიკური, სპორტულ-ტექნიკური და სხვა ხასიათის სამეცნიერო-მეთოდიკური შრომებისა, სახელმძღვანელოებისა.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა გ. ნ. მერკვილაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატაო ნიშნის" ორდენებით, მედლებით, მინიჭებული ჰქონდა სპპატო წოდებანი, ნ. კრუპსკაიას, ი. გოგებაშვილის სახელობის მედლები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება.

გიორგი მერკვილაძე, დიდად მომზიბვლელი ადამიანი, უბვად უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდობას, მრავალრიცხოვან აღზრდილებს, მისი მოღვაწეობა ნიმუში იყო იმისა, თუ რა თავდადებით უნდა ემსახუროს მოქალაქე თავის საქმეს, ხალხს და სამშობლოს. სწორედ ამიტომ დარჩება გიორგი მერკვილაძის სახელი შთამომავლობის ხსოვნაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. ბილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზიი, ზ. ა. ჩხეიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, ნ. ა. ფოფხაძე, გ. ბ. ჩოგოვაძე, ნ. შ. ვასაძე, ნ. შ. ენდელაძე, ნ. ტ. გაფრინდაშვილი, ე. ს. გოკიელი, ო. ნ. დიდებულიძე, გ. მ. თალაკვაძე, უ. პ. ოგოლაძე, ბ. ს. პაიჭაძე, ვ. ფ. სანეევი, ო. მ. ქორაქია, ბ. ი. ზუბაცაგაია, მ. გ. ჩიბურდანიძე, ლ. ვ. ძიკონსკი, მ. ნ. ჯუღელი.

სეტყვა კახეთში

სტიქიამ კვლავ იძალა. ამჯერად — კახეთში. საგარეჯოს, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებში 9 მაისს ძლიერაა სეტყვამ დიდად დააზიანა 30 ათასზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები — სიმშიდგომო, ერთფლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები, ვენახები.

— ბორკილებება გადაყიდებელი ღონისძიებანი სეტყვის შედეგების აღმოსაფხვრელად, რომელმაც 7.500 ჰექტარი სავარგულები დაგვიზიანა, — თქვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საგაზაფხულო კულტურების ნათესი დაუზიანა სეტყვამ და თქვა, რომლებიც გურჯაანის რაიონის პირველადა თამაზ ქევხიშვილმა. — მობილიზებული არაან ადამიანები, ტექნიკა, სხვა რესურსები. მიწათმოქმედნი სასწრაფოდ ეწევიან ვაზის შეწამვლას, ხელახლა მიმდინარეობს რიგმოორისეების გადაბარვა, ფართობების გადათესვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისაგან. მეურნეობებმა შექმნილ ვითარებას კონტროლს უწევს პარტიის რაიკომთან ჩამოყალიბებული სტეციალური შტაბი.

— სტეიქამ 8 მაისს ღამით აიწყვიტა, — თქვა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა. — რაღაც ნახევარ საათში დიდ ფართობებზე დაზიანდა ვენახები, საშემოდგომო თავთავიანი და საგაზაფხულო კულტურების ნათესები.

განსაკუთრებით დიდი ვნება მიადგა უდაბნოს, ივრის, თულარის საბჭოთა მეურნეობებს, კაკაბეთის, ყანდაურის, შიბლიანისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს. ლაბალოს საბჭოთა მეურნეობაში პრაქტიკულად მთელი ზვრები დაიღუპა. სეტყვამ, შემდეგ კი თქვეშმა, მწყობრიდან გამოიყვანა სარწყავი არხები. არხის ნაპირებიდან გადმოხეთქილმა წყალმა წალეკა ერთფლოვანი საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახლო-მახლო ნათესები.

1000 ჰექტარი ვენახები და ორი ათას ჰექტარზე მეტი საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი დაუზიანა სეტყვამ და თქვშა, რომლებიც გურჯაანის რაიონის მეურნეობებს დაატყდა თავს.

— ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სოფლების ჩალაუბნის, მელაანისა და არაშენდას კოლმეურნეობებში, სადაც ვენახები თითქმის მთლიანად დაიღუპა, — თქვა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დავით სარიშვილმა. — სოფელ კაჭრეთის კოლმეურნეობაში, ჯიმითის საბჭოთა მეურნეობაში, სხვა მეურნეობებში ვენახებთან ერთად დაზიანდა თავთავიანი მარცვლოვანი კულტურების, ერთწლოვანი ბალახების ნათესებიც.

— 9 მაისს საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთიდან დაიწყო შედარებით გაცივებული ჰაერის მასების შემოჭრა — თქვა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის განყოფილების უფროსმა გაიოზ ოქროჯანაშვილმა. — რესპუბლიკის ფარგლებში ასეთი ცივი ფრონტის გაჩენამ მყისვე დაარჩინა დაღი ამინდის მდგომარეობას. (სპეციფორმი).

უკუღმართები

ფელეტონი

ეს დღეს მიხო მოღუშულ-განრისხებული დაბრუნდა.

— პაპა! შენი დავალება შესრულებულია, — უპატაკა ბებუტიკომ, სამხედრო სალამი მისცა და სიმიეთი გიეპიმა.

მაგრამ მიხოს არც კი შეუხედავს მისი დავალებით დაწერილი პლაკატისათვის: „ბორჯომელებო! გამოვუშვათ გეგმის გადამეტებით ექვსი ათასი ნახევარლიტრიანი!"

— აბა, ეგ რა ზრდილობაა? — დატუქსა ქმარი თებრომ. — საწყალი ბავშვი მთელი დღე იატაკზე დამბოღავდა, ყოველ ასოში ოფლი ჩაქცია, შენ კი?..

— სიტუაცია შეიცვალა, — ჩაიბურდღუნა მიხომ, — დღეს ავამუშავეთ სამსხვრეველი, რომელიც ცხრა მთას იქიდან ჩამოზიდულ ბოთლებს დაიუცმაცებს. მერე ამ ნედლეულიდან ახალ ბოთლებს დაამზადებენ.

თებრო გაოცებული შესცქეროდა ქმარს, ვერ გაეგო, მართალს ამბობდა თუ ხუმრობდა.

— ჰო, ჰო, — უთხრა მან. — ხელობა გამოვიცვალე. ახლა მე მინამბერი კი არა, მინამმსხვრეველი ვარ.

— ღმერთო, შენ შეგეიწყალე, — ამოიოხრა თებრომ. ეტყობა უკეთესართეში მოგიმოავლდნენ.

მას გაახსენდა ძველი ქართული ხალხური ზღაპრების გმირები, რომლებიც ყველაფერს უკუღმა აკეთებდნენ. მაგალითად, უღელს კამეჩს კუდზე ადგამდნენ, ურემს უკანიდან უბაკდნენ ხარებს. ქოროწილში ტიროდნენ, დაკრძალვაზე იცინოდნენ.

რაღა თქმა უნდა, ძალზე სავალალოა, როცა ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდებიან ხოლმე ნამდვილი უკუღმართები. და როცა ჯადოქარი ბრძენი მოეკლინებათ მართლმსაჯულების სახით, ისინი თითქოს სისხლ-ხორცმოკლეულ ზღაპრულ გმირებად გადაიქცევიან. ამიტომ ხშირად ვერც ასამართლებენ და ვერც მათ საქმეს იძიებენ. ჩვეულებრივ, იოლად დაიძვრენენ ხოლმე თავს, გაფრთხილებისა და საყვედურის გარდა ვერაფერს ეუბნებიან. ჰოდა, ამ ცრუ ჭეშმარიტებილით იფარება ათასობით მანეთის ზარალი.

აი ფაქტებიც. მაგრამ ჯერ ერთი რამ უნდა შეგახსენოთ: ამის თაობაზე წლების განმავლობაში მიწერია „პრავდაში". მაშინ მიღებული ზომები, თითქოს, აშომწურავი უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა დღევანდელი დღის პოზიციებიდან შესცქერი, ფრიად უცნაურად გამოიყურება. თვითონ განსაჯეთ.

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ 1980 წელს საზღვარგარეთ შეისყიდა მანგანუმის ელექტროლიზური ორეანგის საწარმოებელი დანადგარი, ეს ორეანგი კი, როგორც მოგეხსენებათ, დიდად სჭირდება წარმოებას. ხელი მოაწერეს აქტს რუსთავში მისი ამუშავების შესახებ, მერე კი გამოირკვა, რომ ამუშავებით კი ამუშავეს, მაგრამ პროდუქციის ხარისხის საქმე მთლად

ფელეტონი

რიგზე ვერ იყო. იძულებული გახდნენ ავტოგენით დაეჭრათ ზოგიერთი მისი კვანძი და ახლად დაემონტაჟებინათ. შეშფოთ ეს ტელევიზიონერები „ჯადოქრობენ", მაგრამ სასურველ შედეგს დღემდე ვერ მიაღწიეს. მერე, ვინ მოსთხოვა პასუხი იმათ, ვინც უმაქნისი დანადგარი შეუკვეთა და შეისყიდა? სულ რამდენიმე საყვედურს დასჯერდნენ.

აი, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი". აქედან ერთხელ და ორჯერ არ უფრენიათ რესპუბლიკის ყველა ინსტანციაში, გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში პატაკები დაზოგილი ნედლეულისაგან გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვების შესახებ. რეალიაის ავტორები პრემიებსა და წახალისებებს იღებდნენ, მერე კი გაირკვეოდა ხოლმე, რომ ფეხსაცმელი... ჩასაცმელად არ ვარგა. ჰოდა, ასითასობით მანეთის პროდუქციას ჩამოსწერდნენ და წვავდნენ. მერე, მოკეთხეს ვინმეს, ჰო, მაგრამ, ჩვენი აზრით, არცთუ ჯეროვნად.

ჰიაოურაში საზეიმო ვითარებაში, ორკესტრის ხმაზე და ტაშის გრიალით აამუშავეს საწმენდი ნაგებობა. მერე კი დამპროექტებელთა შეცდომებისა და ხარვეზების გულისთვის დიდძალი სახსრები დაიხარჯა გადასაკეთებლად. კონკრეტულ დამნაშავეებს რაღა უყავეს? არაფერი, დატუქსეს, თითო-ოროლა საყვედური გამოუცხადეს და მორჩა და გათავდა.

ამას წინათ ვნახე ოფიციალური ცნობა რესპუბლიკაში დაუდგენელი მოწყობილობის შესახებ. მისმა ღირებულებამ ამა წლის 1 იანვრისათვის 62 მილიონ მანეთი შეადგინა. პირდაპირ გაოცდები როგორ მომრავლდნენ ნაირ-ნაირი უკუღმართები სხვადასხვა ორგანიზაციასა და უწყებაში. „თბილისელადის" საწარმოო გაერთიანებაში 1983 წლის აქეთ გაუხსნელი ყუთებით ალაგია მთელი იმპორტული ქარხანა, რომელიც ხუთმილიონ-ნახევარი მანეთი ღირს. გამოანგარიშებულია, რომ მარტო არამწარმოებლურმა ხარჯებმა, ესოდენ ხანგრძლივმა შენახვამ რომ გამოიწვია, უკვე მილიონ მანეთს მიაღწია, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მისი ამუშავება ბევრად შეუწყობდა ხელს „ბოთლის პრობლემის" გადაწყვეტას.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ბოთლებს. ბორჯომში სამსხვრეველს აგების იდეა, რომელმაც ასე აღაშფოთა მიხო და თებრო, შემთხვევით არ შობილა. „ტექნიკური პროგრამისის" ამ მიღწევის დანერგვა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც ბორჯომის ხეობას იმ „ბოთლების ნიაღვრით" წალეკვის საფრთხე შეექმნა, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან დაიძრა რკინიგზის ეშელონებით.

ჩიხიდან თავის დაღწევის მიზნით ხაშურისა და ბორჯომის ქარხნებს სანახევროდ შეუმცირეს მინის ტარის წარმოების გეგმა. მერე სცადეს შეიმცირებინათ ან შეეწყვიტათ ბოთლების გარედან შემოზიდვა. დაიწყო რესპუბლიკის აგრომრეწვის ინტენსიური მიმოწერა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საბაგრამრეწვის განყოფილებებთან, ქვეგანყოფილებებთან და სამმართველოებთან. არაფერი გამოვიდა: 110 მილიონი ბოთლი და არც ერთითი ნაკლები! ამის თაობაზე შარშან ვწერდი „პრავდაში" სატირიულ კორესპონდენციაში — „ბოთლების ოდისეა". მაგრამ ამას ჯეროვანი შთაბეჭდილება არ მოჰყოლია. საყვედურიც კი არავისთვის უთქვამთ. ეტყობა, ამიტომ უნდა იყოს, რომ „ბოთლების ამბები" ქვლავინდებურად ზარალს აყენებენ რესპუბლიკის მეურნეობას. იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ მოსახლეობისაგან ტარის მიღება. თბილისის 72 პუნქტში უკვე გამოაკრეს სტამბერად დამაბეჭდილი განცხადებანი: „ბოთლებს არ ვიღებთ!".

და ბოლოს, ეს სტრიქონები რომ იწერებოდა, შევიტყვე, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის ჩარევის შემდეგ მიღებულია გადაწყვეტილება 41 მილიონი ცალთა შემცირდეს რესპუბლიკაში ბოთლების შემოზიდვა. [illegible] ... მილიონს რაღა [illegible] თოდ, ნუთუ საჭიროა ქვეყნის ყველა კუთხიდან მუყაოს, ხისა თუ პლასტმასის ყუთებში, ტომრებში გულმოდგინე შეფუთული ბოთლების ჩამოტანა და რკინიგზის ვაგონებიდან მათი ფრთხილად გადმოზიდვა? მერე კი მზრუნველად, არ გაგვიტყდესო, თითო-თითოდ ალაგებენ შტაბელებად და... დიდმწარმოებლური სამსხვრეველას მეშვეობით ფშვნიან! მეტისმეტად ძვირად ზომ არ გვიჯდება ეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალოდ ტონა მინის ტარა 200 მანეთი ღირს, მინის ნამსხვრევი კი მანეთ-ნახევარი?

ჰოდა, როგორ არ უნდა დაიფასო ბებუტიკოს კეთილშობილება, რომელმაც, პაპისა და ბებიის საუბარი რომ მოისმინა უკუღმართების საქმეზე, ბავშვური უშუალობით შესთავაზა:

— პაპა, არა ჯობია ეს ბოთლები ადგილზევე დაამსხვრიონ, ჩვენი ქარხნები კი სრული სიმძლავრით აამუშაონ?!

— არა, არ შეიძლება, — უპასუხა პაპა მიხომ, — ეს ხომ მეტისმეტად... გონივრული იქნებოდა! ზოგიერთი უკუღმართი ვერც გაიგებს.

გ. ლებანიძე.

ქ. თბილისი.

„ბრავდა", 1987 წ. 10-V.

11 მაისი ● საკდესი იუწყება

უკსოეთი

ფაქტები • მოვლენები

ნაყოფიერი ვიზიტი

მექსიკელი პარლამენტარი სსრ კავშირში სეპულვედას ვიზიტის შესახებ

მექსიკა. მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარდო სეპულვედას ვიზიტმა სსრ კავშირში, უეჭველია, ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებას, განაცხადა მექსიკის ეროვნული კონგრესის დეპუტატმა სოციალისტური სახალხო პარტიისაგან კაუტიმოკ ამესკუამ.

მექსიკელ მინისტრთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებიდან ჩანს, თქვა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას ღრმად ესმის პრობლემები, რომლებსაც ლათინური ამერიკის ხალხები აწყდებიან, და მზად არის ხელი შეუწყოს მათ გადაჭრას. არანაკლებ მნიშვნელოვანია საბჭოთა კავშირის ის განცხადებაც, რომ მხარს უჭერს კონტადორული ჯგუფის ძალისხმევას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს მექსიკა, და რომლის მიზანია ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგება ამ რეგიონის ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

მოსკოვში სეპულვედას მოლაპარაკების შედეგები, განაცხადა კ. ამესკუამ, მოწმობს საბჭოთა კონსტრუქციულ პოზიციას თანამედროვეობის ძირითად პრობლემებში ვაშინგტონის ჰეგემონისტური კურსისაგან განსხვავებით, რომელსაც, რიო-გრანდეს სამხრეთით მდებარე ქვეყნები თავის უკანა ეზოდ მიიჩნევა, თქვა ბოლოს პარლამენტარმა.

● აშშ

აქეზებენ ტერორიზმს

სან-ფრანცისკო. ამერიკის ხელისუფალთა მიერ წამოწყებული სასამართლო პროცესი შვიდი პალესტინელი ემიგრანტის დეპორტაციის მიზნით მისი ორგანიზატორებისათვის მოულოდნელად იქცევა სახელმწიფო ტერორიზმის იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის მორიგ საჯარო მხილებად, რომელსაც ოფიციალური ვაშინგტონი აბორიგენებს.

პალესტინელებისადმი წაყენებული ძირითადი ბრალდება ის არის, რომ ისინი მხარს უჭერენ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, იბრძვიან ისრაელის მიერ არაბული მიწა-წყლის უკანონო ოკუპაციის წინააღმდეგ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მოეთხოვათ ამერიკის შეერთებულ შტატებში წურბელებზე კვლავ ალაპარაკდნენ, ამას ბიძგი მისცა ინგლისელი ექიმის როი სოიერის მეცნიერულმა გამოკვლევამ და პრაქტიკამ, რომელმაც 1984 წელს უელსში დააარსა სპეციალური ლაბორატორია წურბელების შესასწავლად და გასამრავლებლად. ამ საკითხით სოიერი დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ კალიფორნიის უნივერსიტეტის მოლეკულური ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს დაინტერესდა. სტუდენტობის წლებში

ბელეტაპის ლენტიდან

მოკლედ

● **სოფია.** თითქმის 400 ათასი დამთვალიერებელი იყო სახალხო მობმარების საქონლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობაზე; რომელიც პლოვდივში დამთავრდა. ეს თავისებური რეკორდია ბაზრობის დაფუძნებიდან განვლილი მთელი შვიდი წლის მანძილზე. ბაზრობის მზარდ პოპულარობას მოწმობს ფირმებისა და საგარეო-სავაჭრო ორგანიზაციების გაზრდილი რიცხვი, რომლებსაც ამჯერად უკვე 55 ქვეყანა წარმოადგენდა.

● **ტოკიო.** კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთში დემოკრატიული გარდაქმნისათვის მოძრაობაში ჩაებნენ სამხრეთ კორეის უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მასწავლებლები. როგორც სეულიდან იუწყებიან, ქვეყნის 32 უმაღლეს სასწავლებელში 1.100-ზე მეტმა პროფესორმა მიიღო დეკლარაცია, რომელშიც მოითხოვენ განახლდეს მოლაპარაკება ოპოზიციასთან საარჩევნო სისტემის რეფორმის განხორციელების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სამხრეთ კორეაში დემოკრატიულ არჩევნებს.

კინო

პრიზი — ქართულ ფილმს

ბონი. საბჭოთა-კინოს ტრიუმფი უწოდა ადგილობრივმა პრესამ ობერჰაუზენში გამართულ მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალს. საორგანიზაციო დათვალიერების ფარგლებში ნაჩვენები ექვსი საბჭოთა ფილმისაგან შემდგარ მთელ პროგრამას მიენიჭა ფესტივალის მთავარი ჯილდო — „ქალაქ ობერჰაუზენის დიდი პრიზი". ასაბუთებდა რა მთავარი პრიზის მინიჭებას, ჟიურომ ხაზი გაუსვა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა ნამუშევრების საუცხოო ხარისხსა და მრავალპლანიანობას. საბჭოთა კინოპროგრამა აღინიშნა აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოკლუბების ფედერაციის პრიზით, რომლის წარმომადგენლებმა მას ობერჰაუზენის დათვალიერების მოვლენა უწოდეს. **საუკეთესო სატირული კომედიისათვის განკუთვნილი „ულენშპიგელის პრიზი", რომელიც პირველად შემოიღეს ფესტივალზე, მიენიჭა ქართველ კინემატოგრაფისტთა ფილმს „მოგზაურობა სოპოტში".** ფესტივალის ერთ-ერთი ჯილდო დაიმსახურა აგრეთვე საბჭოთა კინოფილმმა „შინ მიმავალი ადამიანი."

ეს საინტერესოა

წურბელების... მეორედ დაბადება

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ბევრ პრაქტიკოს ექიმს ვერ წარმოედგინა ზოგიერთი დაავადების მკურნალობა ჩვეულებრივი სამედიცინო წურბელების გამოუყენებლად. მათ ფართოდ იყენებდნენ თითქმის უნივერსალურად — გულის დაავადებების მკურნალობით დაწყებული და ნიკრასის ქარით დამთავრებული. წურბელებს გარკვეულწილად შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსხვერპლი ვუწოდოთ, რომელმაც ისინი მოკლე დროში შეცვალა, ახალი, როგორც იმხანად ეგონათ, უფრო სრულყოფილი სამკურნალო პრეპარატებით.

მაგრამ რამდენიმე წლის წინათ, როგორც კამერა პრესის საგაზეთო იუწყება, ზოგიერთ დასავლეთევროპულ ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წურბელებზე კვლავ ალაპარაკდნენ, ამას ბიძგი მისცა ინგლისელი ექიმის როი სოიერის მეცნიერულმა გამოკვლევამ და პრაქტიკამ, რომელმაც 1984 წელს უელსში დააარსა სპეციალური ლაბორატორია წურბელების შესასწავლად და გასამრავლებლად. ამ საკითხით სოიერი დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ კალიფორნიის უნივერსიტეტის მოლეკულური ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს დაინტერესდა. სტუდენტობის წლებში თავის ლაბორატორიულ სამუშაოებს რომ აანალიზებდა, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ტექნიკისა და ფარმაკოლოგიის უკანასკნელი მიღწევები მოლიანად ვერ ცვლის „ძველ კეთილ" წურბელებს. მისმა შემდგომმა პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა ეს დასკვნა. დოქტორმა სოიერმა ექსპერიმენტუალად დაამტკიცა, რომ წურბელების მთავარი საიდუმლოებაა მათი ნერწყვი, რომელიც უნიკალურ კომპონენტებს შეიცავს. კერძოდ, სოიერის რჩევაა აუცილებლად მიმართონ წურბელებს გულ-სისხლძარღვების დაავადებების, თრომბოფლებტების, ჰიპერტონიის დროს, ქირურგიული ჩარევის შემდეგ სისხლის მიმოქცევის აღსადგენად, პლასტიკური ოპერაციების დროს, აგრეთვე მოკვეთილი ორგანოების (თითების, ყურების და სხვ.) შეხორცების შემთხვევაში.

რო სოიერის ლაბორატორიამ სულ ოთხ წელიწადში საყოველთაო აღიარება მოიპოვა და მომგებიან საწარმოდ იქცა. რო სოიერი თავის პროდუქციას აგზავნის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მედიკოსთა მეცნიერულ კვლევაცა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოსაყენებლად.



სურათზე: რო სოიერის მიერ გამოყვანილი წურბელები.

კამერა-პრესის ფოტო.

● ფილიპინები

დაიწყო არჩევნები

მანილა. ფილიპინებში დაიწყო ორპალატიანი კონგრესის — ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები. დღეს გადაწყდება ორთვიანი საარჩევნო კამპანიის შედეგი, რომლის დროსაც სენატში 24 ადგილისა და კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 200 ადგილისათვის იყო ბრძოლა. მათზე პრეტენზიას აცხადებს შესაბამისად 89 და 1868 კანდიდატი. პრეზიდენტმა კორაასონ აკინომ პირველთა შორის მისცა ხმა თავის მშობლიურ ტარლაკის პროვინციაში. ჟურნალისტებისათვის გაკეთებულ განცხადებაში მან გამოთქვა იმედი, რომ არჩევნები იქნება პატიოსანი და მშვიდობისა და წესრიგის ვითარებაში გაიმართება.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შესამჩნევად გამწვავდა. მთავრობის ჯარებსა და მეამბოხეებს შორის შეიარაღებულ შეტაკებათა შედეგად ბოლო სამ თვეში დაახლოებით 900 კაცი დაიღუპა. ფილიპინებში წლის დამდეგიდან ჩაფუშეს რამდენიმე მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება და სამხედრო გადატრიალების ცდა. ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ყოფილი პრეზიდენტი ფ. მარკოსი, რომელიც 1986 წლის თებერვლიდან ჰაეაის კუნძულებზე იმყოფება, განაგრძობს ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით ძირგამომთხრელი დაჯგუფებების დაფინანსებას.

ფილიპინების შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტ მ ა ფიდელ რამოსმა განაცხადა, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჯარები საბრძოლო იქნებიან გამზადებული მანამ, სანამ ოფიციალურად არ გამოქვეყნდება კენჭისყრის შედეგები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი

კობა კურტანიძეც გამარჯვებული გრუნდება

საბჭოთა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც პარიზში გაიმართა. ჩვენმა სპორტსმენებმა 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს უთუოდ დიდი მიღწევაა, რადგან შარშანდელ ასეთსავე შეჯიბრებაში საბჭოთა ათლეტთაგან მხოლოდ ერთი დაეუფლა ოქროს მედალს.

გამარჯვებულთა შორის არის გორელი **კობა კურტანიძე,** რომელმაც 95 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ყველა მეტოქეს აჯობა და, ცხადია, ოქროს მედალს დაეუფლა, ქუთაისელი მძიმე წონის ძიუდოისტი **აკაკი კიბორძალიძე** კი ბრინჯაოს მედალს დაესაკუთრა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ სეზონში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ორმა ათლეტმა (ლერი ხაბელოვმა და ზაზა თურმანიძემ) ოქროს მედლები მოიპოვა. კურტანიძე კი წლევანდელი სეზონის ევროპის ჩემპიონატის უკვე მესამე ჩემპიონია საქართველოდან, ცხადია, ამჯერად ძიუდოში.

დანარჩენი ჯილდოები საბჭოთა სპორტსმენებს შორის ასე განაწილდა: ოქროს მედლები მოიპოვეს ჩელიაბინსკელმა გრიგოლ ვერიჩევმა (აბსოლუტური კატეგორია) და გროზნელმა ბაშირ ვარაევმა (78 კგ-მდე წონა); მაიკოპელმა ხაზრეთ ტლეცერიმ (60 კგ) მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო მესამე ადგილებზე გამოვიდნენ მინუსინსკელი სერგი კოსმინინი (65 კგ) და კასნოიარსკელი ვიქტორ პოდუბნი (86 კგ).

უცხოელ სპორტსმენთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს ფრანგმა პატრიკ რუმ (60 კგ), ყაზიერ ჰანსენმა (65 კგ) და ფაბიენ კონიუმ (86 კგ), პოლონელმა ვეესლავ ბლახმა (71 კგ) და რუმინელმა მიხაი ჩოკმა (95 კგ-ს ზევით).



სურათზე: ევროპის ჩემპიონი კობა კურტანიძე.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები თბილისის „დინამომ" და ლენინგრადის „